21/03/2025

MES 7 25 0000314395

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 7 მარტს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84634480840
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;

გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ელისო ბარბაქაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ელენე კაკაბაძე
- ლევან მადათოვი
- ლელა მაისურაძე
- ანა დავრიშაშვილი
- ქეთევან ჭუჭულაშვილი
- ნანა შათირიშვილი
- ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
- მაია ომიაძე
- თეა ბარამაშვილი
- ქეთევან ბოტკოველი
- ზურაბ მესხიძე
- ნინო ვასაძე
- თამარ გიორგობიანი
- მანანა მოისწრაფიშვილი
- ცოტნე ქორჩილავა
- ქეთევან გელაშვილი
- მანანა მახარაშვილი
- ქეთევან ჯანელიძე
- დემიდ ფასიეშვილი
- ირმა მეგრელიძე
- ნინო თამაზაშვილი
- თორნიკე თუთარაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ირმა კაპანაძე;

სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლა
დირექტორი - რუსუდან კეკელიძე

სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლა
დირექტორი - შორენა ბუნტური

სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა
დირექტორი - თამარ მელიქიძე

სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა
დირექტორი - ქეთევან ჩოქური

სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა
დირექტორი - მედეა ქოქრაშვილი

სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ბაქარი ერაგია

სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლა
დირექტორი - მაია ხახალეიშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლა
დირექტორი - თამარ ჭარბაძე

სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლა
დირექტორი - ლელა ბლიაძე

სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ჟუჟუნა გოგოლაური

სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლა
დირექტორი - გიორგი ოსაძე

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - სალომე სარალიძე

სსიპქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლა
დირექტორი - ლევან ღურწკაია

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ნანა ხუფაცარია

სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლა
დირექტორი - დავით ეცადეიშვილი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ნარგიზ რომანაძე

სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ირმა წაქაძე

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა
დირექტორი - ირმა ტატიშვილი

სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლა
დირექტორი - ქეთევან ტალახაძე

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
რექტორი - მურთაზ დევაძე;
პროფესიული ცენტრის დირექტორი - გოჩა გოგიტიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

ქალბატონი ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი
1.სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "გრაფიკული დიზაინი" და "ბაღის დიზაინი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„გრაფიკული დიზაინი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „გრაფიკული დიზაინი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

6. სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "სასტუმრო მომსახურება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
7. სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
10. სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "Front - End დეველოპმენტი" და "ბაღის დიზაინი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
11. სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
12. სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
13. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' და ,,სარესტორნო მომსახურების'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
14. სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
15. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
16. სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
17. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
18. სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
19. სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
20. სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
21. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ''ელექტროობის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "გრაფიკული დიზაინი" და "ბაღის დიზაინი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ლევან მადათოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 26 აგვისტოს No1013513 ოქმის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის No1511979 ბრძანებით, მიმდინარე წლის 9 დეკემბერს განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის No 1 საჯარო სკოლაში დაწესებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის, ბ) ქვეპუნქტის ,,ბ.ბ“ კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა ექპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს. ადგილზე შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადამიანური/პროგრამული/მატერიალური რესურსების დოკუმენტაცია და ადგილზე იქნა დათვალიერებული მატერიალური რესურსები. ვიზიტის დღის ბოლოს ექსპერტებმა დაწესებულებას წარუდგინეს ძირითადი მიგნებები.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობისრეკომენდაციებიარ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

პროფესიული პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების AB სასწავლო გარემოში დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით. პროგრამის განხორციელებისათვის შეძენილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსი 15 პროფესიულ სტუდენტზე. სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად. გრაფიკული დიზაინის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები ინტეგრირებული მოდულების 9 მასწავლებელთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია 3 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში ჯამში წარმოდგენილია 12 პროფესიული მასწავლებელი. შესწავლილ იქნა მასწავლებლების პირადი საქმეები, სადაც წარმოდგენილია კვალიფიკაციის დამადასტურებელი, ტრენინგების გავლის, სამუშაო გამოცდილების და სხვა დოკუმენტები. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით, გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, მოდულების განხორციელებისთვის და პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასებისთვის ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს ჩართულობით გაიარეს ტრენინგები, შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მიდგომებთან დაკავშირებით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 10 - სტუდენტს. ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 10 პროფესიული სტუდენტი, შესაბამისად, შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბაღის დიზაინი“

პროფესიული პროგრამის „ბაღის დიზაინი“ სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების AB და C ტიპის სასწავლო გარემოში. დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით 15 პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემო მოწყობილია თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად. გრაფიკული დიზაინის ინტეგრირებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა, როგორც ზოგად, ისე ინტეგრირებულ და დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინარე ხელშეკრულებები გაფორმებულია ინტეგრირებული მოდულების 8 მასწავლებელთან. პროფესიული მოდულების ფარგლებში ჩართულია 6 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში ჯამში წარმოდგენილია 14 პროფესიული მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამაში

მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 11-ს , ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 11 სტუდენტს. შესაბამისად, შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, აქვს თუ არა დაწესებულებას შეძენილი ყველა საჭირო ინვენტარი პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის და რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები.

ექსპერტის განმარტებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, - „ბაღის დიზაინის“ განსახორციელებლად სკოლას ჰქონდა ყველანაირი საჭირო რესურსი. სასწავლო გარემო დაკომპლექტებულია აუდიტორიებით, კომპიუტერებით, ხატვისთვის საჭირო მატერიალებით, სასწავლო წიგნებით და სხვა. ასევე დაწესებულებას გამოყოფილი აქვს საპროექტო არეალები მომავალი მსურველებისთვისაც. ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებსაც, მათ პროგრამაზე სწავლის დიდი ენთუზიაზმი გამოხატეს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგის მასწავლებლებიც სათანადო კვალიფიკაციით ხასიათდებიან.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ცენტრის სახელით, რომ დაწესებულებამ ისაუბროს არა მარტო ვიზიტიდან გამომდინარე, არამედ იმის თაობაზე, თუ აღნიშნულმა პროექტმა რა მისცა სკოლას. ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებიან, როგორც სამინისტროს და პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენლები, ასევე, ცენტრის ხელმძღვანელობაც. აქედან გამომდინარე, თუ არსებობს ისეთი საკითხი, რაშიც სკოლას მხარდაჭერა სჭირდება, აუცილებლად გაჟღერდეს.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ყველა რგოლი, რომელიც ჩართულია სახელმწიფოებრივ პროექტში, მაქსიმალურად ეხმარება დაწესებულებას. აღნიშნული დროისთვის არანაირი ხარვეზი არ ფიქსირდება. სკოლა მიყვება პროგრამებს, ყველაფერი შეძენილი და ტექნიკურად გამართულია. განმახორციელებლებიც შერჩეულია. რაც შეეხება სტუდენტების მზაობას, ბავშვები აქტიურად მუშაობენ, პროგრამაში ჩართულები არიან, როგორც საპროექტე სკოლის ბავშვები, ასევე თბილისიდან და რუსთავიდან გადმოსული მოსწავლეებიც. „გრაფიკული დიზაინის“ პროგრამაზე ამჟამად 10 ბავშვია, ხოლო „ბაღის დიზაინზე“ – 11. დაწესებულების წარმომადგენელის აზრით, შემდეგ ეტაპზე რაოდენობა ორივე პროგრამაზე 15 პროფესიულ სტუდენტამდე მაინც გაიზრდება და შეიძლება კონკურსის გამოცხადება გახდეს საჭირო.

პროფესიული სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნანი დალაქიშვილი, მიმართავს დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, გამოსწორდა თუ არა სკოლაში ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ინტერნეტის პრობლემა აღმოიფხვრა, თუმცა ზოგჯერ მაინც აქვს ხარვეზი, მიუხედავად იმისა, რომ გაყვანილობა წესრიგშია. სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს უფრო მაღალი ხარისხის ინტერნეტი, რადგან პროფესიული

პროგრამის სტუდენტებს მუდმივად სჭირდებათ კომპიუტერი და კავშირგაბმულობა, განსაკუთრებით „გრაფიკული დიზაინის“ მოსწავლეებს. სკოლა უძლურია აღნიშნული პრობლემის წინაშე და ითხოვს დახმარებას გარედან. რაც შეეხება პროგრამა „ბაღის დიზაინს“, დაწესებულებას დიდი ტერიტორია აქვს პრაქტიკული სამუშაოებისთვის. გარდა ამისა, ქალაქში გასვლითი ექსკურსიებიც განხორციელდა, რომელსაც ხელმძღვანელობს დარგის მასწავლებელი. საგარეო ვიზიტის დროს ბავშვებმა აღნიშნულ საკითხზე ფილმის მოსამზადებლად ინტერვიუებიც ჩაწერეს. მოცემული დროისთვის ყველაფერი დაკმაყოფილებულია. საერთო ჯამში, აღნიშნული ინტეგრირებული პროგრამა სკოლების განვითარების მთავარი საწინდარია, შესაბამისად დიდ მნიშვნელობას იძენს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ამ საკითხზე და მომდევნო 9 საკითხზე, ასევე, 21-ე საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრულიყო სხდომის თარიღი 2025 წლის 7 მარტი, რამდენადაც ავტორიზაციის საბჭოს ახალი შემადგენლობის თაობაზე პრემიერ-მინისტრის ბრძანება გამოიცა 2025 წლის 21 თებერვალს, დაგვიანდა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დასრულებული წარმოებების დასკვნების საბჭოს სხდომაზე განხილვა, რის გამოც დაირღვა მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი 90 დღიანი ვადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "გრაფიკული დიზაინი" და "ბაღის დიზაინი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:239402927) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, "გრაფიკული დიზაინი" და "ბაღის დიზაინი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეორე საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს,სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 21 ნოემბრის No1505371 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ - ქალაქ თბილისის No210 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სარესტორნო მომსახურების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის11 დეკემბერს ექსპერტმა ჯგუფმა განხორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - ქალაქ თბილისის No210 საჯარო სკოლაში, (მის: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დ. სარაჯიშვილის ქუჩა, ჩიხი1 No2), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სარესტორნო მომსახურების“ განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (მატერიალური, ადამიანური, საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული/მატერიალური სახით) უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან და სკოლის

ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის No714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის No739114 წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და სპეციალურ მასწავლებელს, მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A, B და C გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურების“ განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავს „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 14 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-122 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 14 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-122 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები. სკოლას შემუშავებული აქვს „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან

დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი აუდიტორია (A და B გარემო), ასევე სასწავლო/პრაქტიკული აუდიტორია (C გარემო) პრაქტიკულ მეცადინეობისთვის, რომელიც მდებარეობს შენობის პირველ სართულზე სრულად არის აღჭურვილი პროგრამის შესაბამისად. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 32 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 15 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-131 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, სარესტორნო მომსახურების პროფესიული პროგრამის განსახორციელებლად სპეციალური პროგრამები გამოიყენება, აქვს თუ არა დაწესებულებას რომელიმე მათგანი ჩატვირთული კომპიუტერებში.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას აქვს “Cash flow”-ს პროგრამა, ექსპერტთა ვიზიტის დროს იგი იყო ჩართულ მდგომარეობაში და გადამოწმების შედეგად კარგად მუშაობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ექსპერტს, აღნიშნულ პროექტს სახელმწიფომ გაუწია დახმარება რესურსების განვითარების მიზნით, კერძოდ პროფესიული უნარების სააგენტომ გადამზადების კუთხით და ასევე მეთოდოლოგიური მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ განმახორციელებლების ტრენინგის პროცესში, მათი მხრიდან გამოიხატა გარკვეული შიში პროგრამის წარმატებით სწავლებასთან დაკავშირებით. საინტერესოა, როგორ მიმდინარეობს დინამიური პროცესი რეალურ სიტუაციაში და როგორია კოორდინაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და მასწავლებლებს შორის.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული სკოლა პირველივე ვიზიტის დროს კოორდინაციის მიმართულებით გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორგანიზებულობითა და მზაობით. დაწესებულებას ჰქონდა პროფესიულ განათლებასთან კვეთა წლების განმავლობაში და მისთვის ნაცნობი იყო შესაბამისი სპეციფიკა. აქედან გამომდინარე, სკოლის მასწავლებლებს, რომლებიც ახლა უკვე ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან, თავიდანვე ჰქონდათ სათანადო მზაობა და კოორდინირების კუთხით სკოლაში სირთულე არ ყოფილა, ამგვარად სასწავლო პროცესის დაგეგმვა სავსებით ორგანიზებულად მიმდინარეობს.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სახელმწიფოებრივ პროექტს სკოლა დიდი პასუხისმგებლობითა და ინტერესით უდგება. თავდაპირველად იყო ღელვა, რაც ბუნებრივია, რადგან პირველად ხდება მსგავსი პროცესის წარმართვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ მასწავლებლებმა ტრენინგების წყალობით უკვე აიმაღლეს თავდაჯერებულობა და კომპეტენცია. გარდა ამისა, ბავშვები დიდ ინტერესს ამჟღავნებენ და უკვე აქვთ გარკვეული უნარ-ჩვევები ჩამოყალიბებული, რომლებსაც ისინი ადასტურებენ სწავლების მსვლელობისას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლაში(ს/კ:236059260) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეორე საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს,სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 30 ნოემბრის №1 24 0001539138 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ თბილისის №21 -ე საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 17 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფი ეწვია სსიპ ქალაქ თბილისის №21-ე საჯარო სკოლას (მის: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. №7)„სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის განსახორციელებლად, კერძოდ, საჭირო რესურსებით (მატერიალური, ადამიანური, საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტორნული/მატერიალური სახით) უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებსა (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან) და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული

განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის შესრულების დინამიკა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასა და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის დირექტორს, ბიბლიოთეკარს, ბუღალტერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ინდიკატორი 2.2.1.1 „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება სპეციალური პროგრამა ,,Fina'' , იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამა შედარებით ახალია, მისი ყველა ოფციის სრულყოფილად ათვისების მიზნით, რეკომენდებულია, მხარდამჭერი აქტივობების ჩატარება. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს უდასტურდებათ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, ტექნიკური პროგრამები საჭიროებს სპეციფიკურ ცოდნასა და უნარებს, ასევე, წლების განმავლობაში ნებისმიერი პროგრამა იხვეწება ფუნქციონალურად, ამიტომ, პროგრამის ეფექტიანად დანერგვის მიზნით, სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს კონკრეტული პროგრამის სპეციალისტის პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა ტრენინგების თუ მასტერკლასების გზით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

სასწავლო სივრცე აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, სათანადო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მათ შორის სარესტორნო მართვის ერთ-ერთი პროგრამით ,,Fina". აღნიშნულ პროგრამას აქტიურად იყენებენ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები, ისე პროფესიული სტუდენტები, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამა შედარებით ახალია, მისი ყველა ოფციის სრულყოფილად ათვისების მიზნით, რეკომენდებულია, მასტერკლასების ჩატარება. „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს კალათბურთი და ფეხბურთი, რომელიც ტარდება შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში. ინტეგრირებული მოდული, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ხორციელდება სკოლის ფიზიკისა და ქიმიის შესაბამისად აღჭურვილ ლაბორატორიებში.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია პერსონალურ კომპიუტერებში/ლეპტობებში, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული

სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

სკოლას შემუშავებული აქვს „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები (ხარჯი, რომელიც შეიძლება სკოლას ჰქონდეს გასაწევი ვაუჩერული დაფინანსებიდან, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შეკეთება, ცვეთა და ა.შ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“

სსიპ ქალაქ თბილისის №21-ე საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, „სარესტორნო მომსახურება“ ახორციელებს მისამართზე: ქალაქი თბილისი, პეტრიაშვილიქ.N7. შესწავლილი დოკუმენტაციითა და ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. სკოლას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრული პირების სწავლების უზრუნველსაყოფად(15 სტუდენტი ერთ მიღებაზე). პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია ერთი სასწავლო სივრცე(A,B და C გარემო ერთ სივრცეშია) სადაც განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს .დაწესებულებაში ვიზიტის დროს პროფესიულ პროგრამაზე ირიცხებოდა 2 სსსმ სტუდენტი, დოკუმენტაციის შესწავლისას წარმოდგენილ იქნა პროფესიული პროგრამების განმახორციელებლების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ამასთან დაწესებულების განმარტებით, იგეგმება შესაბამისი მხარდამჭერი სპეციალისტის დასაქმება, რათა სრულად მოხდეს სსსმ პირების საჭიროებების დაკმაყოფილება, პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულა 19 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 12 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სცდება შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიღებულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი

კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომითა და შესაბამისი მრავალწლიანი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, რატომ გაიცა რეკომენდაცია ადამიანური რესურსის განვითარებასთან დაკავშირებით, თუ განმახორციელებლები საბაზისო დონეზე ფლობენ პროგრამა „Fina"-ს, რაც სრულიად საკმარისია სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნის გადასაცემად და არ არის საჭირო მასწავლებლებს სრულყოფილად ჰქონდეთ ათვისებული აღნიშნული პროგრამა, ვინაიდან "Fina" ზოგადად არის საბუღალტრო და ფინანსური მართვის პროგრამა, რომელიც გამოიყენება კომპანიებსა და ორგანიზაციებში ძირითადი ფინანსური პროცესების ავტომატიზაციისთვის, პროფესიული პროგრამა კი ძალიან მცირედი ნაწილის ცოდნას მოიაზრებს, რაც გულისხმობს ბუღალტრულ აღრიცხვას, მარაგების კონტროლს, ხელფასების გათვლას და ფინანსურ ანალიზს.

ექსპერტის განმარტებით, როდესაც ისინი გაესაუბრნენ განმახორციელებლებს, რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ პროგრამა „Fina"-სთან მანამდე შეხება არ ჰქონია, ხოლო ერთ-ერთმა აღნიშნა, რომ ჯერ თავად ისწავლიდა და შემდეგ უკვე ასწავლიდა სტუდენტებს. პროფესიული პროგრამის განმახორციელებელმა კი უნდა იცოდეს დაჯავშნის მართვა; მიღება და განთავსება; გადახდის სისტემა; მარაგების კონტროლი; მენიუს შეყვანა, დამატება და წაშლა. ყველაფერი ექცევა საერთო ობციების ქვეშ და, აქედან გამომდინარე, აუცილებელია პროგრამის კარგად ცოდნა. მასწავლებლები პროგრამას იცნობენ ზედაპირულად და მასში მუშაობის გამოცდილება ყველას არ ჰქონია.

დაწესებულების წარმომადგენელი დამატებით აზუსტებს, ექსპერტების ვიზიტისას აღნიშნული მოდულის სწავლება არ იყო დაწყებული, შესაბამისად განმახორციელებლებმა უნდა გაიარონ ჯერ ტრენინგი და ამის თაობაზე მონაცემები უკვე მიწოდებულია სკოლის მხრიდან. გარდა ამისა, დაწესებულებამ შეიძინა სავაჭრო პროგრამა "Icash"-ის მომსახურება და მასთან გააფორმა ხელშეკრულება. ამდენად, აღნიშნული პროგრამისთვისაც გაივლიან განმახორციელებლები ტრენინგებს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ქალბატონი ნანი დალაქიშვილის განცხადებით, ზემოთხსენებული მასწავლელი პროგრამის ხელმძღვანელია და თან ახორციელებს რამდენიმე მოდულსაც თავისი გამოცდილებით. მას უდასტურდება კვალიფიკაცია, ვინაიდან მუშაობს ერთ-ერთ კოლეჯში და სწორედ აღნიშნულმა კოლეჯმა შესთავაზა სკოლას მასწავლებლის კანდიდატურა. მასწავლებელს ასევე ჰქონდა სხვა პროგრამაში მუშაობის გამოცდილებაც აღნიშნულ კოლეჯში. იგი სკოლის პროფესიული პროგრამისთვის ფლობდა მინიმალურ უნარებს, მაგრამ უფრო გამართული მუშაობისთვის და მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად სჭირდებოდა დამატებითი ტრენინგი და სწორედ ამის თაობაზე იყო გაცემული რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თხოვნით, რომ დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება დიდი გამოწვევების წინაშეა პროგრამასთან დაკავშირებით, რადგან გერმანულენოვანი სკოლაა.

თავდაპირველად ჩატარდა ღია კარის დღე პროფესიული პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით რაიონის მასშტაბით და უფრო მეტად მეზობელი სკოლის მოსწავლეები დაინტერესდნენ, 6 სტუდენტიდან 5 არის სხვა სკოლიდან. დაწესებულებას დაგეგმილი აქვს საგაზაფხულო მიღების გამოცხადება და იმედოვნებს, რომ საზოგადოების ცნობადობა პროგრამის მიმართ კიდევ უფრო ამაღლდება. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, შესაბამისად მიიღეს სპეციალური მასწავლებლები კონკურსის წესით. სსსმ ბავშვებთან სწავლა მიმდინარეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით და აღნიშნული გეგმის საფუძველზე მოხდება შეფასების დადასტურებაც. ამას გარდა, დაწესებულება ეძებს პრაქტიკის ობიექტებს. როგორც ცნობილია, სტუდენტები სწავლობენ ყავის ტექნოლოგიებსაც და მათ რესურსებით უზრუნველყოფს სკოლა. შესყიდულია ყველაფერი, რომ ადგილზე შეძლონ სტუდენტებმა პრაქტიკის გავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სარესტორნო მომსახურება“განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 8
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლაში (ს/კ:203853865) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეოთხე საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„გრაფიკული დიზაინი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მაია ომიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის №1511966 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 16 დეკემბერს ექსპერტმა ჯგუფმა განხორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლაში (მის: თბილისი, ვაზისუბნის დას, დ. კვაჭანტირაძის ქ.№2), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (მატერიალური, ადამიანური, საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული/მატერიალური სახით) უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის ფარგლებში სამმა პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ კონკურსის საფუძველზე, გრაფიკული დიზაინის მიმართულებით გადიან სამთვიან სტაჟირებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ უნილაბის პროფესიული აქსელერაციის პროგრამაში და დამატებით იღრმავებენ ცოდნას შერჩეული პროფესიის ფარგლებში. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

B (C) სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 20 პერსონალური (დაინსტალირებული სასწავლო პროგრამებით) კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიულ სტუდენტთა 10 სამუშაო მაგიდით. სასწავლო გარემო თეორიული კომპონენტის განხორციელებისა და პროგრამის შემავალი პროფესიული მოდულის, „დიზაინის პრინციპების გამოყენება“ განხორციელებისათვის აღჭურვილია შტატივიანი ხელოვნური განათებით, მოლბერტებით, სამხატვრო სკამებითა და თაბაშირის სხვადასხვა გეომეტრიული სხეულებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს კალათბურთი და ფრენბურთი, რომელიც ტარდება შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში. ამასთან სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 სპორტული მოედანი, რაც უზრუნველყოფს სპორტის მოდულით განსაზღვრული საათების შეუფერხებლად ჩატარებას. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ყველა პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერში, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად.

ბიბლიოთეკა განთავსებულია ფართში, რომელსაც აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმდინარეობს იმ მოდულ(ებ)ის ფარგლებში არსებული საგანმანთლებლო რესურსების თარგმნა და ე.წ. „hand out“ - ების/ამონარიდების სახით განთავსება საბიბლიოთეკო სივრცეში, რომლის დაწყებაც სასწავლო გეგმით მოაზრებულია 2025-2026 სასწავლო წლებში. დაწესებულებაში ასევე შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო.

სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ საპროგნოზო ბიუჯეტი. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, სკოლის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 6 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 59616 (ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას თექვსმეტი) ლარს შეადგენს. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები (ხარჯი, რომელიც შეიძლება სკოლას ჰქონდეს გასაწევი ვაუჩერული დაფინანსებიდან, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შეკეთება, ცვეთა და ა.შ).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

სსიპ - ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, „გრაფიკული დიზანი“ ახორციელებს ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დას, დ. კვაჭანტირაძის №2-ში, სადაც „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია გრაფიკული დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილ 1 სასწავლო აუდიტორიაში, A/B (C) გარემოში. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრულია 16 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, 2 - ზოგად, ხოლო 5 - პროფესიულ მოდულს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, არ აღემატება კვირაში 40 საათს და შესაბამისად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის №2-186 ბრძანების მე-6 დანართით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 ივნისის №2-186 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. 2024 წლის 13 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-186 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 71-ე მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და ადმინისტრირების პროცედურები. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს რომ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, როგორც ყველა სკოლას მათაც ჰქონდათ უამრავი გამოწვევა და კითხვა, რომელზედაც შესაბამისი დარგის სპეციალისტებისგან ყოველთვის იღებდნენ დახმარებასა და ამომწურავ პასუხებს. განაცხადი ჰქონდათ 40 სტუდენტზე 2 წლის განმავლობაში, პირველ წელიწადს 18 სტუდენტი მიიღეს. მიმდინარე წელს ჯერ მიღება არ გამოუცხადებიათ, თუმცა ბავშვები გამოთქვამენ პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილს. სამომავლოდ მსხვილი გეგმები აქვს სკოლას, რადგან კარგი გამოცდილება მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლაში (ს/კ:206031729) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეხუთე საკითი: სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „გრაფიკული დიზაინი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მაია ომიაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის №1511969 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 4 დეკემბერს ექსპერტმა ჯგუფმა განხორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის №54 საჯარო სკოლაში (მის: თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. N59), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ განსახორციელებლად საჭირო რესურსებით (მატერიალური, ადამიანური, საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული/მატერიალური სახით) უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და სპეციალურ მასწავლებელს, მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

B (C) სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 20 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიულ სტუდენტთა 10 სამუშაო მაგიდით. A სასწავლო გარემო თეორიული კომპონენტის განხორციელებისა და პროგრამის შემავალი პროფესიული მოდულის, „დიზაინის პრინციპების გამოყენება“ განხორციელებისათვის აღჭურვილია შტატივიანი ხელოვნური განათებით, მოლბერტებით, სამხატვრო სკამებითა და თაბაშირის სხვადასხვა გეომეტრიული სხეულებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს კალათბურთი და ფეხბურთი, რომელიც ტარდება შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ყველა პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერში, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკა განთავსებულია ფართში, რომელსაც აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმდინარეობს იმ მოდულ(ებ)ის ფარგლებში არსებული საგანმანათლებლო რესურსების თარგმნა და ე.წ. „hand out“ - ების/ამონარიდების სახით განთავსება საბიბლიოთეკო სივრცეში, რომლის დაწყებაც სასწავლო გეგმით მოაზრებულია 2025-2026 სასწავლო წლებში. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო.

სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „გრაფიკული დიზაინის“ საპროგნოზო ბიუჯეტი. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, სკოლის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 6 პროფესიული სტუდენტით, რომლის ფარგლებშიც პროგრამის შემოსავალი 59616 (ორმოცდაცხრამეტი ათას ექვსას თექვსმეტი) ლარს შეადგენს. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები (ხარჯი, რომელიც შეიძლება სკოლას ჰქონდეს გასაწევი ვაუჩერული დაფინანსებიდან, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შეკეთება, ცვეთა და ა.შ).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გრაფიკული დიზაინი“

სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას, „გრაფიკული დიზანი“ ახორციელებს ქალაქ თბილისში,

ფალიაშვილის №59-ში, სადაც „გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A/B გარემოში. A სასწავლო გარემო - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე; B (C) სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. . პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 21 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, 3 - ზოგად მოდულს, ხოლო 6 - პროფესიულ მოდულს. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, არ აღემატება კვირაში 40 საათს და შესაბამისად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. . პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-204 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

2024 წლის 14 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-197 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 71-ე მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულობისა და ადმინისტრირების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, „გრაფიკული დიზაინი“ სწავლობს 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი, რომელიც სპეციალური მასწავლებლისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის დაკვირვების საფუძველზე საჭიროებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას, სწავლის შედეგების მოდიფიცირების მიზნით. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, სსიპ - სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლას ფართთან დაკავშირებით ჰქონდა პრობლემა, რადგან იმავე შენობით სარგებლობდა სხვა სკოლაც. აქედან გამომდინარე, ბიბლიოთეკისა პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი აუდიტორიის მოწყობა სადავო საკითხი იყო და სკოლა ვერ იღებდა გადაწყვეტილებას შენობის რა ნაწილში განეთავსებინა აღნიშნული განყოფილებები. როგორი იყო ვითარება ექსპერტთა ვიზიტის დროს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და გადაიჭრა თუ არა პრობლემა საბოლოოდ.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს სხვა სკოლა ისევ სარგებლობა ფართით, თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემები უკლებლივ იყო აღმოფხვრილი. ბიბლიოთეკა იზოლირებულია, ასევე ერთი აუდიტორია სრულიად ეთმობა პროფესიულ პროგრამას, შესაბამისად ხელის შემშლელი გარემოებები არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სკოლაში მეოთხე დონის პროფესიული პროგრამის ინტეგრირების იდეა, შესანიშნავი გადაწყვეტილება იყო. პროექტის განხორციელება მიმდინარეობდა ყველა რგოლის სანიმუშო ჩართულობით. პროგრამაში მონაწილე 18 მოსწავლიდან არიან, როგორც მაღალი ასევე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებიც. ამჟამად სკოლა უზრუნველყოფილია ყველაფრით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ ქალაქ თბილისის №90 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ სოფიკო ჭიაურელის სახელობის ქალაქ თბილისის №54 საჯარო სკოლაში (ს/კ:204859705) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეექვსე საკითი: სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "სასტუმრო მომსახურება" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს,სსიპ ქალაქ თბილისის №21 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N1511967 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - ნანა შათირიშვილი) დაევალა საგანმანათლებლო პროგრამის - "სასტუმრო მომსახურება" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმების მიზნით, 2024 წლის 5 დეკემბერს, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლაში (ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, პეტრე ქავთარაძის ქ.42). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა

ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა ასევე შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და შემოწმდა პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი. მონიტორინგის წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ ავტორიზაციის წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტი.

შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - სკოლამ სრულად უზრუნველყო საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024 დან 17.12.2024 მდე (6 თვე).
შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; დაწესებულებამ უზრუნველყო ტრენინგების ჩატარება პროფესიულ განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (17.06.2024 - 17.12 2024, 6 თვე.
შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი: 2.2.1.5. - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; სკოლამ უზრუნველყო დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების მოძიება - სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024-17.12.2024 (6 თვე).

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციები სშეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
AB გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი, 15 კომპიუტერი სტუდენტთათვის და 1 პროფესიული მასწავლებლისათვის, პროექტორი, 2 ასლგადამღები, დაფა. C გარემოში (1) მოწყობილია სწავლის შედეგების შესაბამისი სასტუმროს მიღება-განთავსების და სამეურნეო სამსახურის (ჰაუსქიფინგი) იმიტირებული გარემო. C გარემოში (2) კვებისა და სასმელების იმიტირებული გარემო. ორივე იმიტირებული გარემო სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ძირითადად ელექტრონული) განთავსებულია დაწესებულების ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერში, ასევე ონლაინ სივრცეში (google drive) და ჩატვირთულია სტუდენტებისთვის განკუთვნილ ლეპტოპებში ლინკების საშუალებით, რაც სრულად უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის. სკოლამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ საპროგნოზო ბიუჯეტი, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების

მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, ადმინისტრირების და მასალა ნედლეულის ხარჯი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა და დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი აქვს 1AB , 2 C გარემო და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 30 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 15. ამ ეტაპზე აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 13-ს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“, განხორციელების მიზნით დაწესებულებას, ხელშეკრულების საფუძველზე, აყვანილი ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 15 მასწავლებელი, მათ შორის 6 ახორციელებს პროფესიულ მოდულებს, ხოლო 9 პროფესიული მასწავლებელი ინტეგრირებულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია დადასტურდა მათ პირად საქმეში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და მათთან გასაუბრების შედეგებით. ისინი შესაბამის პოზიციებზე აყვანილნი არიან პერსონალის სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების (დამტკიცებულია სსიპ - თბილისის № 122 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-234 ბრძანებით) გათვალისწინებით. ამჟამად, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის გადამზადებული, რაც დადასტურდა მათ პირად საქმეში წარმოდგენილი სერტიფიკატებით. საგანმანათლებლო პროგრამას „სასტუმრო მომსახურება“ ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა, შემუშავების გარემოებები და პროცედურები განსაზღვრულია დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის № 2-228 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებით (თავი X). რეგულაცია ასევე ითვალისწინებს სასწავლო რესურსების ადაპტირების და ხელმისაწვდომობის საკითხებს სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგენა იგეგმება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული პროგრამა საკმაოდ მაღალი დაინტერესებით ხასიათდება მოსწავლეების მხრიდან. სტუდენტები სხვა სკოლებიდანაც ირიცხებიან აღნიშნულ პროგრამაზე. სკოლაში ჩატარდა შემაჯამებელი ღონისძიება

პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით, სადაც წარმომადგენლები იყვნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, ასევე, პროფესიული უნარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოებიდან. სტუდენტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები პროფესიულ პროგრამა „სასტუმრო მომსახურებასთან“ დაკავშირებით, რამდენიმემ უკვე სივიც გააგზავნა სხვადასხვა სასტუმროებში. პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის მასწავლებლების თაოსნობით აქტიურად მიმდინარეობს გასვლითი ექსკურსიები პრაქტიკის ობიექტზე. სტუდენტებმა თავიანთი ინიციატივით მოამზადეს პრეზენტაცია პროფესიულ პროგრამაზე და წარუდგინეს სხვა მოსწავლეებსაც მისი უკეთ გაცნობის მიზნით, ასევე დაათვალიერებინეს A, B და C სივრცეები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "სასტუმრო მომსახურება" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლაში (ს/კ:204863255) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სასტუმრო მომსახურება" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეშვიდე საკითი: სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის N1529094 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრი - ზურაბ მესხიძე) დაევალა საგანმანათლებლო პროგრამის - ''Front-end დეველოპმენტი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, შესრულების შემოწმების მიზნით, 2024 წლის 10 დეკემბერს, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლაში (ქ. ფოთი. აკაკის ქუჩა 44). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა ასევე შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და შემოწმდა პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი.

მონიტორინგის წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ ავტორიზაციის წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით, სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტი

შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - სკოლამ სრულად უზრუნველყო საგანმანათლებლო სივრცეების აღჭურვა პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 17.06.2024 დან 17.12.2024 მდე (6 თვე).

შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.3 - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; დაწესებულებამ უზრუნველყო ტრენინგების ჩატარება პროფესიულ განათლების სწავლების, ასევე კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიმართულებით, სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში (17.06.2024 - 17.12 2024, 6 თვე).

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ABC გარემოში, 10 დიდი ზომის მაგიდაზე, ორივე მხრიდან განთავსებულია 2-2 კომპიუტერი. საერთო ჯამში 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის. აუდიტორიაში განთავსებულია ასევე 1 პრინტერი (კომბაინი) და 87 ინჩიანი ჭკვიანი დაფა. სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის №.02-98 ბრძანებით) გაწერილია - სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის თანახმადაც პროგრამის განხორციელებისთვის რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 6 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, ადმინისტრირების და მასალა ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგენა იგეგმება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“
მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა და დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ამ მიზნით სკოლას გამოყოფილი აქვს 1ABC გარემო და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად. დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 40 სტუდენტით, მათ შორის ერთ ჯგუფში მისაღები სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 20. ამ ეტაპზე აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 20-ს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „Front-end დეველოპმენტი“ დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 9 პროფესიული მასწავლებელი, მათ შორის 1 ახორციელებს პროფესიულ დარგობრივ მოდულებს, 2 პროფესიულ ზოგად მოდულებს და 6 ინტეგრირებულ მოდულებს. ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და მდგრადობას. მასწავლებლებად შერჩეული ყველა პირი არის დაწესებულების მიერ შემუშავებული “პერსონალის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების” მიხედვით აყვანილი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე. საგანმანათლებლო პროგრამას Front-end დეველოპმენტი ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროგრამის განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება. მისი კვალიფიკაცია დასტურდება მის პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სერთიფიკატებით. მოდულებში მითითებული სასწავლო მასალა დაწესებულებას განთავსებული აქვს ბიბლიოთეკაში ელექტრონული სახით, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის.

სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლაში, პროფესიული განათლების მიმართულებით სსსმ პირი არ ირიცხება, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლა

გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, უზრუნველყოს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის აყვანა, რაც დასტურდება ასევე საჯარო სკოლის "თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების" (დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის № 02-82 ბრძანებით) შესწავლით, რომელშიც შესაბამისი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ვალდებულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, არიან თუ არა პროფესიულ პროგრამაზე სხვა სკოლების ან რეგიონის ბავშვები ჩარიცხული გარდა ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებისა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიდან 14 ადგილობრივი სკოლის მოსწავლეა, ხოლო 6 კი სხვა ქალაქიდან არის გადმოსული. მეტად სასიხარულოა, ის, რომ დაინტერესება სხვა სკოლებიდანაც არის, რადგან საპროექტო სკოლა ვერ შეავსებდა ბოლომდე ადგილებს თავისი მოსწავლეებით, ვინაიდან პროგრამის ინიციატივა ახალია და მოსწავლეთა უმეტესობამ თავი შეიკავა პროექტში ჩასართველად.. თუმცა სხვა სკოლებიდან მოსწავლეები კონკრეტულად აღნიშნული პროგრამისთვის გადმოვიდნენ და ისინი დაინტერესების კუთხით ნამვილად უწევენ კონკურენციას აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს, მაგრამ ნელ-ნელა ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებიც დაიწყებენ უფრო მეტად დაინტერესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულმა პროექტმა და პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ სკოლას დიდი შესაძლებლობა მისცა. შენობას ჰქონდა გათბობის პრობლემა, თუმცა სამინისტროს მხარდაჭერით სრულიად აღმოიფხვრა. რადგან პროექტი არ ითვალისწინებს სტაჟირებას, სკოლამ გადაწყვიტა თავად ჩამოაყალიბოს არასამეწარმეო იურიდიული პირი კომპანიად, სადაც სტუდენტები შეძლებენ სტაჟირების გავლას სწავლის დასრულების შემდეგ, თუმცა სკოლაში არის ინტერნეტის პრობლემა, მისი სიჩქარე კარგად მუშაობს, მაგრამ ხელმისაწვდომი არ არის საიტები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო, სწავლებას კი შეიძლება სხვადასხვა ისეთი ვებგვერდები დასჭირდეს, რომლებიც დაბლოკილია საჯარო სკოლებისთვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რესურსცენტრის ბუღალტერი ვერ გასცემს ნებართვას, აქედან გამომდინარე სკოლას სჭირდება დახმარება. ამჟამად პროგრამაზე ჩარიცხულია 20 სტუდენტი, სკოლა დარწმუნებულია, რომ მომავალ წელსაც იგივე სურათი ექნება, რადგან მოთხოვნა დიდია, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა სკოლებიდან. დაწესებულება სამომავლოდ გეგმავს ასევე ლაბორატორიის გაკეთებას სხვა პროფესიული პროგრამის დამატების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემა უშლის თუ არა ხელს სასწავლო პროცესის მსვლელობას და რა გზებს მიმართა დაწესებულებამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, არსებული პრობლემა სწრაფად ვერ გვარდება, რადგან დროში გაწელილი პროცესია და სჭირდება პროცედურები, მაგრამ სკოლამ იპოვა პრობლემის გადაჭრის დროებითი გზა, დაყენდა დროებითი ჩიპები, რომლებიც უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამისთვის საჭირო საიტებთან წვდომას. აღნიშნული

პრობლემა არ არის მწვავე, თუმცა სასურველია საკითხი მოგვარდეს. დაწესებულებას სურს დამატებითი ინტერნეტ წყაროს შეყვანა, რომელსაც მთავარ ქსელთან არ ექნება კავშირი და, რა თქმა უნდა, ასევე დაცული იქნება კიბერუსაფრთხოების ნორმებიც.

პროფესიული სამსახურის უფროსი კითხვით მიმართავს დაწესებულების წარმომადგენელს, მიაწოდა თუ არა სკოლამ აღნიშნული პრობლემის თაობაზე ინფორმაცია სამინისტროს ზოგადი განათლების დეპარტამენტს.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, რესურსცენტრის რეკომენდაციით აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სამინისტროშიც გააგზავნეს წერილი და მიაწოდეს ინფორმაცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ემისსაც. მათგან თანხმობა ვერ მიიღეს, თუმცა ემისი დათანხმდა სკოლას ინტერნეტის შემოყვანაზე.

სამინისტროს წარმომადგენელის, ქალბატონი ხათუნა კვინიკაძეს, განცხადებით, ემისი ფილტრავს ინტერნეტს, რადგან საქმე ეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და უსაფრთხოების მიზნით შეზღუდვები აქვს დაწესებული. სამინისტროს წარმომადგენელი დაამყარებს კომუნიკაციას ზოგადი განათლების სამსახურის უფროსთან აღნიშნული პრობლემის თაობაზე და ისინი ერთობლივი ძალებით შეეცდებიან პრობლემის აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, . დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:215108309) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მერვე საკითი: სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს,სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო ვასაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N MES 1 24 0001511994 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი ნანა შათირიშვილი დაევალა ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში, მისამართი: (ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩა N6). მიმდინარე წლის 09 დეკემბერს 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A-B გარემო, C გარემო ,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი

ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის N MES 1 24 0001511994 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი ნანა შათირიშვილი დაევალა ვიზიტი სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში, მისამართი: (ქ. თბილისი, ნაკადულის ქუჩა N6). მიმდინარე წლის 09 დეკემბერს 2010 წლის 1 ოქტომბრის N№99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, პედაგოგებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A-B გარემო, C გარემო, ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელირეკომენდაციები არ გაცემულა

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარ ების თაობაზე

დაწესებულებამ 2024 წლის 25 დეკემბრის MES 0 24 0001653310 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც აღნიშნულია რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან დასკვნის პროექტში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას უცვლელად დარჩა დასკვნის პროექტში მოცემული შეფასება.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

პროფესიული პროგრამა ხორციელდება A/B გარემოში, რომელიც აღჭურვილია 15 ლეპტოპით, პროექტორით, პრინტერით, პროფესიული მასწავლებლის და 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მაგიდითა და სკამით. 15-ივე ლეპტოპში ჩატვირთულია OPERA

Propertz Managment System. დაწესებულებას ასევე მოწყობილი აქვს 2 C გარემო, რომელიც აღჭურვილია სრულად პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით: ორსაწოლიანი საწოლით, კარადით, ტუმბოთი, სასტუმროს დახლით და სხვა. ვიზიტისას გადამოწმდა დაწესებულების მიერ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მატერიალური რესურსი შესყიდულ იქნა სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე გადაცემულია სკოლისთვის უსასყიდლოდ. ვიზიტისას ასევე გადამოწმდა ლაბორატორიები და სპორტული დარბაზი. სკოლას აქვს შესაბამისი რესურსები, რაც აუცილებელია მოდულებში მოცემული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სასტუმრო მომსახურების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში მითითებული ყველა რესურსი ადგილზეა, ასევე ჩატვირთულია ელექტრონული სახით A-B გარემოში განთავსებულ ლეპტოპებში. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სასტუმრო მომსახურება“, სკოლამ წარმოადგინა პროგრამული ბიუჯეტი, დანახარჯებით და შემოსავლებით. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტით განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი 5 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლა “სასტუმრო მომსახურების” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მიმდინარე წლის სექტემბრიდან. საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა უფლება სწავლება განახორციელოს 30 პროფესიული სტუდენტისთვის. ამ ეტაპზე დაწესებულებაში აღნიშნულ პროგრამაზე ირიცხება 9 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება სწავლებას განახორციელებს ორ ცვლაში, ერთ ცვლაში 15 პროფესიული სტუდენტი. სსიპ ქალაქ თბილისის #82 საჯარო სკოლაში სასტუმრო მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 19 პროფესიული მასწავლებელი. მათ შორის 8 ინტეგრირებული და 11 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას განსაზღვრული ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროფესიული დიპლომი და რამდენიმე წლიანი სამუშაო

გამოცდილება. მას აქვს შესაბამისი პროფესული განათლება და სასტუმროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, გარდა ამისა არის ტრენერი და იცნობს პროგრამას როგორც პროფესიული განათლების პედაგოგი, შესაბამისად მისი გამოცდილება და ჩართულობა სამომავლოდ პროგრამის განვითარების პროცესში დადებითად აისახება პროგრამის შემდგომ განვითარებაზე. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-186 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი მიმართავს კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, მიუხედავად რენტაბელობის ზღვარის დაფარვისა, რატომ არის სტატუსის მქონე სტუდენტების ცოტა რაოდენობა.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიღება დაემთხვა სხვადასხვა პროცესებს, დაწესებულების ფართით მეორე ცვლაში სარგებლობს სხვა სკოლაც. თავდაპირველად პროგრამაზე 8 სტუდენტი იყო, შემდეგ კიდევ დაემატა ერთი მოსწავლე. მოგვიანებით მოთხოვნა გაიზარდა, მაგრამ უკვე ვეღარ მიიღეს სტუდენტები პროგრამაზე, ვინაიდან სწავლების პროცესი დაწყებული იყო, შესაბამისად სტუდენტებს რამდენიმე მოდული უკვე გავლილი ჰქონდათ და ახალი სტუდენტები მათ ვეღარ დაეწეოდნენ. დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, პროფესიულ პროგრამაზე ინფორმაცია მიეწოდებათ სხვა სკოლებსაც და ნელნელა თხუთმეტივე ადგილი შეივსება სამომავლოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლაში (ს/კ:208145283) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეცხრე საკითხი: სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ, ხათუნა ჩხარტიშვილს,სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, თამარ გიორგობიანი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2024 წლის 22 ნოემბრის №1511982 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „სასტუმრო მომსახურება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი. 2024 წლის 10 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფი

ეწვია სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლას (მის: თბილისი, გლდანი-ნაძალადევი ურეკის ქ. N5 (თემქა)), „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის განსახორციელებლად, კერძოდ, საჭირო რესურსებით (მატერიალური, ადამიანური, საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტორნული/მატერიალური სახით) უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებსა (მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან) და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის №714411 და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის №739114 წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის შესრულების დინამიკა, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასა და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტეთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის დირექტორს, ბიბლიოთეკარს, ბუღალტერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობისრეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
2.2.1.1 „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებში ჩატვირთულია სასტუმროს მართვის ერთ-ერთი პროგრამა ,,opera”, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პროგრამა შედარებით ახალია, მისი ყველა ოფციის სრულყოფილად ათვისების მიზნით, რეკომენდებულია, მასტერკლასების ჩატარება.
2.2.1.2 პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა, არ არის დაკონკრეტებული, რომელი მოდულის განმახორციელებლად ჰყავს სკოლას პირი აყვანილი. შესაბამისად, რეკომენდებულია, სკოლამ დააკონკრეტოს მუხლი „ხელშეკრულების საგანი“.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია სამი სასწავლო სივრცე, სადაც განთავსებულია პროგრამის სწავლის შედეგების სამი მიმართულება: მიღება-განთავსება, კვებისა და სასმელები და სამეურნეო სამსახური (ჰაუსქიფინგი) შესაბამისი აღჭურვილობით (სასტუმრო დახლი, მებარგულის ურიკა, სხვადასხვა ქვეყნის დროის მაჩვენებელი საათები, ორადგილიანი საწოლი, ტუმბო, კარადა, საშხაპე, წყლის გამათბობელი ავზი, სასადილო მაგიდები, სკამები, ჭურჭელი და სხვა). ერთი-ერთი სასწავლო სივრცე აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, სათანადო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, მათ შორის სასტუმროს მართვის ერთ-ერთი პროგრამით ,,opera”. „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს კალათბურთი და ფრენბურთი, რომელიც ტარდება შესასაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში.

ინტეგრირებული მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ხორციელდება სკოლის ფიზიკისა და ქიმიის შესაბამისად აღჭურვილ ლაბორატორიებში. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია პერსონალურ კომპიუტერებში/ლეპტობებში, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-224 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით“ განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია დაწესებულების მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი, იქნება ეს სპეციალისტის მოწვევა, სკოლის ტერიტორიაზე გადაადგლების ხელშეწყობა, საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა და სხვა.

სკოლას შემუშავებული აქვს „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომითი ანაზღაურების, სასწავლო მასალისა და ნედლეულის, პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯები (ხარჯი, რომელიც შეიძლება სკოლას ჰქონდეს გასაწევი ვაუჩერული დაფინანსებიდან, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შეკეთება, ცვეთა და ა.შ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. სკოლას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით (30 პროფესიული სტუდენტი ორ ცვლაში) განსაზღვრული პირების სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A,B და C გარემოში. 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 18 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად ინტეგრირებულ, 3 - ზოგად მოდულს, ხოლო 7 - პროფესიულ მოდულს. თითოეულ მათგანთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც გაწერილია კანონმდებლობით დადგენილი კომპონენტები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული რომელი მოდულის განმახორციელებლად ჰყავს სკოლას პირი აყვანილი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა პროგრამის სასწავლო გეგმის თანახმად, არ აღემატება კვირაში 40 საათს. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №2-228 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N143 საჯარო სკოლის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ და პროგრამის განმახორციელებლ პირთა სამუშაო აღწერილობისა და კვალიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია ასევე დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომითა და შესაბამისი მრავალწლიანი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამის რეალური ბიუჯეტი შედგება პროგრამის დასრულებიდან ერთი ციკლის შემდეგ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, სკოლას პროგრამაზე ჰყავს 11 სტუდენტი. აქედან ორი გოგონაა, დანარჩენი - ვაჟები. მოსწავლეთა დაინტერესება თავიდანვე ძალიან მაღალი იყო, მათ განსაკუთრებული ინტერესი აქვთ დარგობრივი მოდულების მიმართ და აღნიშნულ მოდულებს ისინი არასდროს აცდენენ. პროგრამები აწყობილია ისე, რომ სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებებით. მოცემული მეთოდი სასკოლო საგნებში ჩამორჩენილ მოსწავლეებს საშუალებას ძლევს დააგროვონ გარკვეული ცოდნა მთელი წლის მანძილზე, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა წარმატებით ხორციელდება. გაიზარდა სხვა სკოლების ინტერესიც, საპროექტო სკოლას ხშირად ჰყავს სტუმრები. გარდა ამისა სკოლამ დააორგანიზა პროფესიული პროგრამის მხარდაჭერის შეხვედრა, სადაც შეხვდა დასაქმების სააგენტოს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. მომავალ წელს სკოლა გეგმავს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას. მიღების გამოცხადებამდე უკვე არიან მსურველები. ამჟამად, იგეგმება გასვლითი აქტივობები პრაქტიკის ობიექტებზე თბილისის მასშტაბით. სკოლის დირექტორი პირადად შეხვდა სასტუმროების მფლობელებს და ისინიც დიდი ინტერესით ელოდებიან სტუდენტებს. მათ აქვთ დასაქმების რეალური პერსპექტივა და მიმდინარე წლის ბოლოს სკოლას ეყოლება უკვე დასაქმებულები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლაში (ს/კ:200007937) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სასტუმრო მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეათე საკითი: სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - "Front - End დეველოპმენტი" და "ბაღის დიზაინი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 იანვრის №19853 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამების - "Front – End დეველოპმენტი" და ,,ბაღის დიზინი“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით 2025 წლის 30 იანვარს განეხორციელებინა მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ ქალაქ ბორჯომის No3

საჯარო სკოლაში (ქ. ბორჯომი, შოთა რუსთაველის ქ.N97) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 30 იანვარს განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის შესამოწმებლად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შეფასდა პროგრამის განსახორციელებლად განკუთვნილი რესურსები, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების გზით. წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას განაცხადთან ერთად ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმები, რომელთა პუნქტებში მოცემული ინფორმაციის შესრულება შესაფასებელი ინდიკატორების მიხედვით განხორციელდა მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში და სკოლას უზრუნველყოფილი აქვს. სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული ჰქონდა კალათბურთი, ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სპორტის მოდულის სწავლება და დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლას ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად შედგენილი აქვს განრიგი, რითიც დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნის პროექტში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
მიუხედავად იმისა, რომ სკოლის მიერ მოწყობილ ფართში დამატებით ერთი პროფესიული სტუდენტის განთავსებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის დაბრკოლება არ იქმნება (მასწავლებლისთვის გამოყოფილი რესურსის ხარჯზე), სასურველია სკოლამ საერთო კვოტის ფარგლებში ჯგუფში დამატებით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის შეიძინოს აღჭურვილობა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართი მოწყობილია სკოლის მეორე სართულზე, ცალკე ფლიგელში, აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის დაწესებულებისთვის კვოტით განსაზღვრული ერთი მიღების ფარგლებში 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 15 კომპიუტერით, სმარტდაფით, სასწავლო ინვენტარით პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, ჩატვირთულია შესაბამისი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი შეფერხებების გარეშე. სპორტის მოდული (კალათბურთი) ხორციელდება სკოლის დარბაზში, შეძენილია საჭირო ინვენტარი 15-ივე პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართი არის ახალი გარემონტებული, ნათელი, საჭირო კლიმატით უზრუნველყოფილი, ფუნქციური და ეჭვგარეშეა მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ პირობებთან. დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში საიდანაც

მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების მიერ განხორციელებულია სასწავლო რესურსების შევსება, ისინი ჩატვირთულია პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებშიც, დაწესებულება სარგებლობს Open Biblio პროგრამით, აქვს სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ლიტერატურის გატანაც და ადგილზე სამკითხველოდ გამოყენებაც დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. პროგრამა „ბაღის დიზაინის“ განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართები აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის დაწესებულებისთვის კვოტით განსაზღვრული ერთი მიღების ფარგლებში 10 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 10 კომპიუტერით (Acer veriton X2715G), სმარტდაფით, სახატავი მოლბერტებით, ტუმბოებით და ხატვისთვის საჭირო სხვა ინვენტარით (სფერო, კონუსი, კუბი, თიხის ჭურჭელი). ასევე, შეძენილია ხაზვისთვის საჭირო ინვენტარი (სახაზავები, რეიშინა) და მასალები, წინასაპროექტო სამუშაოების მოდულისთვის განკუთვნილი ასაზომი ხელსაწყოები, ფოტოკამერა, GPS ნავიგატორი. დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს აგრარული მიმართულების მოდეულებისთვის საჭირო ინვენტარი: ბარი, თოხი, ფოცხი, სეკატორი, სარწყავი საშუალებები და დეკორატიული მცენარეები.

კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, ჩატვირთულია შესაბამისი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები (ArchiCAD 25, Photoshop, Lumion), კედლებზე გამოკრულია მაღალი ხარისხის თვალსაჩინოებები და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს შეფერხებების გარეშე. სპორტის მოდული (კალათბურთი) ხორციელდება სკოლის დარბაზში, შეძენილია საჭირო ინვენტარი 10 პროფესიული სტუდენტისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ პროგრამაზე ამჟამად ჩარიცხულია 11 პროფესიული სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ საკლასო ოთახი მოწყობილია 10 პროფესიული სტუდენტისთვის, მეთერთმეტე პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევა ეჭქვეშ არ დგას, ვინაიდან ორივე საკლასო ოთახში არის მეთერთმეტე პროფესიული სტუდენტის მოთავსების ადგილი და მასწავლებლის კომპიუტერი. თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია ასეთ შემთხვევაში სკოლამ უზრუნველყოს ჯგუფში დამატებით (საერთო კვოტის ფარგლებში) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის აღჭურვილობის შეძენა, რისთვისაც დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია. . დაწესებულების ბუღალტერმა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებშიც ასახული ყველა საჭირო რესურსი. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართი არის ახალი გარემონტებული, ნათელი, საჭირო კლიმატით უზრუნველყოფილი, ფუნქციური და ეჭვგარეშეა მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ პირობებთან.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია

სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას სკოლას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი" საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. რენტაბელობის ზღვრად ბიუჯეტის მიხედვით 10 პროფესიული სტუდენტია განსაზღვრული. ამ ეტაპზე დაწესებულება ახდენს ბიუჯეტის გადაანგარიშებას საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 იანვრის N6 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front - End დეველოპმენტი"

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 19 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 3 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სჭარბობს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ გამოთქმული იყო მზადყოფნა პროფესიული მოდულების მასწავლებლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესების მიმართულებით და წარმოდგენილი ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, სადაც მეტწილად იყო შეფასებული აღნიშნული ინდიკატორი. დაწესებულებამ მოიძია პროფესიული დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც აყვანილია ასევე პროგრამის ხელმძღვანელადაც და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. 2024 წლის 07 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით №130/1 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები.

ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი. ამ ეტაპზე დაწესებულება ახდენს ბიუჯეტის გადაანგარიშებას საქართველოს მთავრობის 2025 წლის 20 იანვრის N6 დადგენილებით „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილებაში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ბაღის დიზაინი“

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 2025 წლის 30 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაღის დიზაინი“ მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის პირობების შესამოწმებლად. წინა ვიზიტის პერიოდში დადგენილი იქნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის სკოლაში იგეგმებოდა C და A/B გარემოების მოწყობა. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო სრულყოფილად შესყიდული სკოლის მიერ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე ექსპერტიზის ფარგლებში დაათვალიერა სსიპ ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართები - 2 ოთახი, რომლებიც მოწყობილია სკოლის მეორე სართულზე, ცალკე ფლიგელში. პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულია 20 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 4 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სჭარბობს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის №140 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს განსაკუთრებულად მაღალი დარგობრივი კომპეტენციისა და მოტივაციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ აღმოჩნდა ერთი სტუდენტი ზედმეტი.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროგრამა „ბაღის დიზაინის“ სტუდენტს აკლდა ერთი კომპიუტერი, თუმცა აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა. ყველა სტუდენტს აქვს თავისი კომპიუტერი და ჩვეულებრივი რეჟიმით მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. რეალურად სტუდენტი ჰყავდათ, მაგრამ მატერიალური რესურსი საკმარისი არ იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ თბილისის №143 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „სასტუმროს მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ბორჯომის №3 საჯარო სკოლაში (ს/კ:226157342) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "Front - End დეველოპმენტი" და "ბაღის დიზაინი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

მეთერთმეტე საკითი: სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მანანა მოისწრაფიშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 იანვრის №19962 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამის - "Front – End დეველოპმენტი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით 2025 წლის 29 იანვარს განეხორციელებინა მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ ქალაქ ახალციხის No1 საჯარო სკოლაში (ქ. ახალციხე, მიქუტიშვილის ქ.N 2) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის შესამოწმებლად. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შეფასდა პროგრამის განსახორციელებლად განკუთვნილი რესურსები, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების გზით. წინა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას განაცხადთან ერთად ჰქონდა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა, რომლის პუნქტებში მოცემული ინფორმაციის შესრულება შესაფასებელი ინდიკატორების მიხედვით განხორციელდა მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში და სკოლას უზრუნველყოფილი აქვს . სპორტის სახეობად დაწესებულებას პროფესიული სტუდენტებისთვის შერჩეული ჰქონდა ფეხბურთი, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, ვიზუალური დათვალიერების მიხედვით სკოლის სპორტული დარბაზი საშუალებას იძლევა ეფექტიანად წარიმართოს სპორტის მოდულის სწავლება და დარბაზის სივრცის გამოყენებისთვის სკოლას ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად შედგენილი აქვს განრიგი, რითიც დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტებს არ შეეზღუდებათ შესაბამისი სერვისის მიღება. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნის პროექტში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობისრეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ მონიტორინგის მიზნით ავტორიზაციის პირობების შესამოწმებლად. წინა ვიზიტის პერიოდში სკოლაში მიმდინარეობდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ექსპერტთა ინტერვიუები და დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა განხორციელდა ქალაქ ახალციხის რესურსცენტრში. მათ მიერ დადგენილი იქნა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის სკოლაში იგეგმებოდა A/B გარემოს მოწყობა. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი არ იყო სრულყოფილად შესყიდული სკოლის მიერ. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავდა „სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს“, რომლის ფარგლებში დაწესებულებას არჩეული ჰქონდა ფეხბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ფრენბურთის მიმართულება და მის

განსახორციელებლად სკოლა გამოიყენებდა საკუთარ ინფრასტრუქტურას, ხოლო ინვენტარის/აღჭურვილობის შეძენა განსაზღვრული იყო შესაბამისობის გეგმით. ასევე, აღსანიშნავია, რომ ვინაიდან, პროგრამის განხორციელებას გეგმავდნენ იმიტირებულ სამუშაო გარემოში, პროფესიული მოდულების განსახორციელებლად სკოლას არ ჰყავდა პარტნიორი ორგანიზაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე ექსპერტიზის ფარგლებში დაათვალიერა სსიპ ქალაქ ახალციხის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ფართი, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის დაწესებულებისთვის კვოტით განსაზღვრული ერთი მიღების ფარგლებში 15 პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი მონაცემების 15 კომპიუტერით, სმარტდაფით, სასწავლო ინვენტარით პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში, ჩატვირთულია შესაბამისი კომპიუტერული სასწავლო პროგრამები და მიმდინარეობს სასწავლო პროცესი შეფერხებების გარეშე. სპორტის მოდული ხორციელდება სკოლის დარბაზსა და მოედანზე, შეძენილია საჭირო ინვენტარი 15-ივე პროფესიული სტუდენტისთვის სპორტის ყველა შერჩეული სახეობისთვის. პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის სკოლის მიერ გამოყოფილი ფართი არის ახალი გარემონტებული, ნათელი, საჭირო კლიმატით უზრუნველყოფილი, ფუნქციური და ეჭვგარეშეა მისი შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილ პირობებთან.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო რესურსი განთავსებულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებში, საიდანაც მოხდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად, მასალების მიწოდება (ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა). ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას დაწესებულების მიერ განხორციელებულია სასწავლო რესურსების შევსება, ისინი ჩატვირთულია პროფესიული სტუდენტების კომპიუტერებშიც, დაწესებულება სარგებლობს Open Biblio პროგრამით, აქვს ძალიან ნათელი, სახალისო და სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სადაც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ლიტერატურის გატანაც და ადგილზე სამკითხველოდ გამოყენებაც.

დაწესებულებაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. 2024 წლის 11 ივნისის სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-181 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება (მუხლი 71) არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხებს. დებულებაში განსაზღვრულია სსსმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, სკოლას შემუშავებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,Front-end დეველოპმენტი“ საპროგნოზო ბიუჯეტი, როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში, საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავდა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც გათვალისწინებულია შემოსავლებში- ვაუჩერული დაფინანსება. ხარჯებში - პროფესიული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურება და მასალა-ნედლეულის ხარჯი. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადი იყო, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი. ბიუჯეტის მიხედვით რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front - End დეველოპმენტი“

პროფესიულ საგანანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის განსაზღვრულა 18 განმახორციელებელი პირი, მათ შორის 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი განახორციელებს ზოგად და ზოგად ინტეგრირებულ, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულს. მათი კვირეული დატვირთვა არ სჭარბობს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ზღვრულ დატვირთვას. კოლის დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის №2-181 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის, მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები ანაზღაურება და სხვა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება მასთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 ივნისის №2-181 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, პროფესიული პროგრამის სტუდენტები მხოლოდ აღნიშნული სკოლის მოსწავლეები არიან თუ სოფლის სკოლებიდანაც გადმოვიდნენ მოსწავლეები, ვინაიდან საპროექტე სკოლა მდებარეობს ახალციხის რაიონში.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროგრამაზე ჩარიცხული 15 სტუდენტიდან ერთი მოსწავლე სხვა სკოლიდან არის გადმოსული, ორი სოფლის სკოლიდან, დანარჩენი მოსწავლეები კი აღნიშნული სკოლის კონტინგენტია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, სკოლამ მონიტორინგი წარმატებით გაიარა, გარდა ამისა დაწესებულებაში საკმაოდ კარგად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი, რაც უმეტესწილად განაპირობა სათანადოდ შერჩეულმა ადამიანურმა რესურსმა. სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტები სტაჟირებას გაივლიან სასტუმრო „ინ“-ში. სკოლა მალე გამოაცხადებს პროგრამაზე მიღებას და ფიქრობს კონკურსის ჩატარებასაც, რადგან ძალიან ბევრი მსურველია. თუმცა შეფასება წარმოადგენს დიდ პრობლემას. ძალიან ბევრი მოსწავლე, რომელსაც სურს სწავლა გააგრძელოს საზღვარგარეთ დაინტერესდა პროგრამით, შესაბამისად მათთვის პრიორიტეტულია შეფასების ფორმა, რათა შეძლონ სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ, თუმცა პროფესიული პროგრამის სტუდენტები ფასდებიან კრედიტებით და აქედან გამომდინარე ასეთ მოსწავლეებს ექმნებათ წინააღმდეგობა აღნიშნული კუთხით. გარდა ამისა, სკოლა გეგმავს სპონსორების მოძიება და ცდილობს აღნიშნული საკითხი დააყენოს ადგილობრივ მერიასა და განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში.

ვინაიდან დაწესებულებას აქვს ფართის გადიდების პოტენციალი და სურს კიდევ დაიმატოს სხვა პროფესიული პროგრამებიც. აღნიშნული სკოლა რაიონში ერთადერთია, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროფესიული სამსახურის უფროსის, ქალბატონი ნანის განცხადებით, დაწესებულების მხრიდან გაჟღერდა თხოვნა, რომ მათ სჭირდებათ დახმარება პროფესიული პროგრამების შეფასების საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს ცვლილებები. პროფესიული უნარების სააგენტოს ინიციატივით, პროცესში ჩართულია განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ასევე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებულ მიდგომაზე. კერძოდ იგეგმება, რომ დადასტურება/არ დადასტურება, რომელიც ახლა არის შეფასების ერთადერთი ფორმა, როგორც პროფესიული მოდულებისთვის ასევე ინტეგრირებული მოდულებისთვის, შემდეგ ეტაპზე კონვერტირებული იყოს ქულებში. შესაბამისად, თუ რომელიმე კურსდამთავრებულს ატესტატის მიზნებისთვის დასჭირდება აღნიშნული ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში ქულები თითოეული ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების გამოხატვის მიზნით, მათი მიღება განხორციელდება მინისტრის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული საკითხი ამჟამად დაანონსებულია პროექტის სახით და ინტენსიურად განიხილება სააგენტოს, სამინისტროს და ცენტრის ჩართულობით. აღნიშნული პროექტი მიეწოდება დაწესებულებებსაც, რომ დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები. მოცემული საკითხი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც ეხება, რადგან სქემა ასევე გავრცელდება ინტეგრირებული პროგრამების მქონე კოლეჯებზე. ასე რომ სკოლას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებთ პრობლემა არ შეექმნება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ახალციხის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:224081437) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთორმეტე საკითი: სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში (შემდეგში „დაწესებულება“) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდეგში “საბჭო”) 2024 წლის 26 აგვისტოს MES 9 24 0001016451 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-end დეველოპმენტი“-ს განხორციელების უფლებამოსილება. ამავე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, განისაზღვრა აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 2.2. და 4.1 კომპონენტების მონიტორინგი (პსდ საბჭოს ოქმი №1013513, 26.08.2024). ოქმის თანახმად, 2.2. კომპონენტთან მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 21.11. 2024 წ. ფორმა - ადგილზე ვიზიტი, ხოლო 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით - 25.03.2025 წ. ფორმა - დოკუმენტების გამოთხოვა. საბჭოს შუამდგომლობის და სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 იანვრის ბრძანების MES 8 25 0000035521 საფუძველზე, დაწესებულებაში, 2.2. კომპონენტის ფარგლებში, დაიგეგმა მონიტორინგის ვიზიტი, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 28 იანვარს (ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N44). ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება და მათი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვა.

2.2.2.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ამოცანის შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში“. შესრულებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ვადების დაცვით შესრულებულია: დაწესებულებაში მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის

კაბინეტები, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსით.

2.2.2.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში“. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით. შერჩეული პედაგოგიური პერსონალის კომპეტენციების გათვალისწინებით, პროფესიულ მოდულებზე განმახორციელებელი პირები დაკომპლექტდა ისე, რომ უზრუნველყოფილია მდგრადობა.
2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა იყო - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სასწავლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, გატარებულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნში.

სტანდარტებთან შესაბამის ობისრეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - დაწესებულებაში მოწყობილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსითა და ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო გარემო, რომელშიც ინტეგრირებულია A და B სივრცე (პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე აუდიტორია წარმოადგენს ასევე C სასწავლო გარემოსაც). სასწავლო გარემო აღჭურვილია 15 სამუშაო ადგილით პროფესიული სტუდენტისთვის. ასევე სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის. სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ტექნიკით: პერსონალური კომპიუტერები, პრინტერი, სმარტ დაფა, სასწავლო ინვენტარი, მეხსიერების ბარათები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის დანართით განსაზღვრული სხვა მატერიალური რესურსი. მოდულის „მეცნიერება ტექნოლოგიები“-ს სწავლებისთვის გამოყოფილია სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის გამტარუნარიანობის მტკიცებულებები, დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილი იყო. კონკრეტული მოდულის ფარგლებში მეცადინეობები დაგეგმილია კვირაში 3 საათი. პროგრამის განხორციელებისთვის

ასევე გამოყოფილია სპორტული დარბაზი. სპორტული დარბაზისა და ლაბორატორიის გამტარუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იყოს როგორც დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

დაწესებულების სასწავლო სივრცეების, აღჭურვა უზრუნველყო სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის ფლობა, განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ელექტრონულად. ინდიკატორის შესრულება, აღნიშნული წარმოების ფარგლებშივე, შეტანილი იყო შესაბამისობის გეგმაში. ამოცანის თანაგანმახორციელებლად განსაზღვრული იყო ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, განახლდა და გამდიდრდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსი. სახელმძღვანელოებთან ერთად წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ, დარგობრივი მოდულებისთვის შემუშავებული „რიდერები“. ბიბლიოთეკაში, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. დაწესებულების ბიბლიოთეკის სერვისით გათვალისწინებულია საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო რესურსის მატერიალური სახით მიწოდება. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სწავლების გარემო. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტები საპროგნოზო, რენტაბელობის ზღვრით (6 პროფესიული სტუდენტი) და კორექტირებული, მიმდინარე აქტიური სტუდენტების რაოდენობით (12 პროფესიული სტუდენტი) დაანგარიშებული ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება მასწავლებლებისა და პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართული პირების ანაზღაურებასა (85, 41 %), ხოლო დანარჩენი მასალა-ნედლეულის, პროგრამის განვითარებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებისთვისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, მათ შორის სსსმ სტუდენტების მომსახურებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front-end დეველოპმენტი“

პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კონტრაქტი გაფორმებულია 13 პირთან (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი ადამიანური რესურსის შესახებ და პერსონალის პირადი საქმეები), აქედან: 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირია, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 11. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 16.09.2024 წ. და შრომითი ხელშეკრულების დანართები განსახორციელებელი მოდულების მითითებით). საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო გეგმები, პროგრამის განხორციელების მეცადინეობის განრიგი და პროფესიული მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის (ტარიფიკაციის) შესახებ ბრძანება (ბრძანება #2-641, 01.11.2024). პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან აქვს საგნის სწავლების გამოცდილება. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე

ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს სისტემური მართვისა და ინფორმატიკის შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, ასევე ამ მიმართულებით როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება მიღებული. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლად მუშაობის გამოცდილებაც. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებლები/სპეციალისტები და მათი ასისტენტები. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ფსიქოლოგის ჩართვას ან/და სხვა სპეციალისტების მოწვევას, სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება. ამასთან, მისაღები კვოტის ფარგლებში, დაწესებულებას სსსმ პირებისთვის გამოყოფილი აქვს ადგილების 15 %.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დააფიქსიროს თავისი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემა აღმოფხვრილია, ფარდა-ჟალუზები დამონტაჟებულია. რაც შეეხება სტუდენტების სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას, პროგრამაზე ჩარიცხულმა სტუდენტებმა ერთი თვის მანძილზე მოსინჯეს პროგრამა და მიხვდნენ რომ არ ინტერესდებოდნენ აღნიშნული პროფესიული პროგრამით, შესაბამისად მშობლებმა დაწერეს განცხადებები და მოსწავლეები დაუბრუნდნენ სკოლის სივრცეს. დანარჩენად სკოლა მაქსიმალურად შეეცადა ყველა რეკომენდაცია გაეთვალისწინებია, რაც პირველ ეტაპზე იყო გაცემული.

პროფესიული სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნანი დალაქიშვილი, კითხვით მიმართავს დაწესებულების წარმომადგენელს, სტუდენტებს რომლებმაც დატოვეს პროგრამა თუ აღუდგათ მოსწავლის სტატუსი და ხომ არ ჩამორჩენილან სასკოლო საგნებში.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, მოსწავლეებს ჩამორჩენა არ ჰქონიათ და პირველი სემესტრის შეფასება მიიღეს უპრობლემოდ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტი'' განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, . დასრულდეს

ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ქუთაისის №17 საჯარო სკოლაში (ს/კ:212805767) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეცამეტე საკითი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' და ,,სარესტორნო მომსახურების'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში (შემდეგში „დაწესებულება“) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდეგში “საბჭო”) 2024 წლის 26 აგვისტოს MES 8 24 0001016450 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სარესტორნო მომსახურება“ და ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ განხორციელების უფლებამოსილება. ამავე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, განისაზღვრა აღნიშნული პროგრამების ფარგლებში 2.2. და 4.1 კომპონენტების მონიტორინგი (პსდ საბჭოს ოქმის MES 4 24 0001012685, 26.08.2024). ოქმის თანახმად, 2.2. კომპონენტთან მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 21.11. 2024 წ. ფორმა - ადგილზე ვიზიტი, ხოლო 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით - 25.03.2025 წ. ფორმა - დოკუმენტების გამოთხოვა. საბჭოს შუამდგომლობის და სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის (შემდეგში „ცენტრი“) დირექტორის 2025 წლის 17იანვრის

ბრძანების MES 5 25 0000022964 საფუძველზე, დაწესებულებაში 2.2. კომპონენტის ფარგლებში, დაიგეგმა მონიტორინგის ვიზიტი, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 29 იანვარს (ქ. ქუთაისი, ცისფერყანწელების ქ. N6; რუსთაველის გამზირი N9). ვიზიტის დროს შემოწმდა დაწესებულების მიერ შესაბამისობის რეკომენდაციების შესრულება და მათი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადების დაცვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში“, შესრულებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადაა - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ ვადების დაცვით შესრულებულია: დაწესებულებაში მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის კაბინეტები, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსით.

2.2.1.2. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული (დარგობრივი) მოდულებისთვის ერთზე მეტი განმახორციელებელი პირის შერჩევა/დაკონტრაქტება შესაბამისობის გეგმის ვადების გათვალისწინებით“ - შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით. შერჩეული პედაგოგიური პერსონალის კომპეტენციების გათვალისწინებით, პროფესიულ მოდულებზე განმახორციელებელი პირები დაკომპლექტდა ისე, რომ უზრუნველყოფილია მდგრადობა. დაწესებულება, მონიტორინგის ვიზიტის პარალელურად, კვლავ აწარმოებდა პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის პროცედურას, მოდულისთვის „ყავის მომზადების ტექნოლოგია“. შესარჩევ კანდიდატსა და ექსპერტებს შორის ვიზიტის განმავლობაში შედგა გასაუბრება. დოკუმენტაციითა და გასაუბრებით დადასტურდა შესარჩევი კანდიდატის კომპეტენტურობა განსახორციელებელი მოდულის სწავლის შედეგების ფარგლებში.

2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა იყო - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სასწავლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, გატარებულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის წიგნში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

2.2.1.1. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შეძენა, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში“. შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული იყო ვადაა - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით: მოწყობილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის კაბინეტები (A/B/C გარემო), საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო რესურსით (კომპიუტერული ტექნიკა, სასწავლო ინვენტარი).

2.2.1.5. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით - ინდიკატორთან მიმართებით გაცემული იყო შესაბამისობის რეკომენდაცია - „დაწესებულებამ უზრუნველყოს, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შევსება-განახლება, საბიბლიოთეკო წესით დამუშავება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული ვადა იყო - არაუგვიანეს 17.12.2024. შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შესრულებულია ვადების დაცვით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო სასწავლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, გატარებულია ბიბლიოთეკის ინვენტარიზაციის რეესტრში.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ გარემოს. აღნიშნული გარემო მიმდინარე ეტაპისთვის გამტარუნარიანია. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით ასვე, მოდულის „მეცნიერება ტექნოლოგიები“-ს სწავლებისთვის, გამოყოფილია სკოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისთვის განკუთვნილი კაბინეტები (ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის კაბინეტები). პროგრამის განხორციელებისთვის ასევე გამოყოფილია სპორტული დარბაზები. დაწესებულების მფლობელობაშია შიდა (დახურული) და გარე (ღია) სპორტული მოედანი. სპორტული დარბაზისა და მოედნის გამტარუნარიანობა იძლევა შესაძლებლობას გამოყენებული იყოს როგორც დაწესებულების მოსწავლეებისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებშიც. თუმცა, ინდიკატორის შესრულება, შეტანილი იყო შესაბამისობის გეგმაში. განსაზღვრული ამოცანის თანაგანმახორციელებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, განახლდა და გამდიდრდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო რესურსი. სახელმძღვანელოებთან ერთად წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ, დარგობრივი მოდულებისთვის შემუშავებული „რიდერები“. სევე განახლდა და გარემონტდა დაწესებულების ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა და სივრცე (პროექტის განმახორციელებელია სს “საქართველოს ბანკი“). ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და წიგნადი ფონდებით. ბიბლიოთეკაში, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი, წარმოდგენილია როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალურად. დაწესებულებაში უზრუნველყოფილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სწავლების გარემო.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (დაანგარიშებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეფასებისას, ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, ხარჯების ნაწილში შეტანილი ყოფილიყო ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პროგრამის/განმახორციელებელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები და სხვა. დაწესებულების მიერ ხარჯების ნაწილი კორექტირებულია, გათვალისწინებულია პროგრამის ადმინისტრირების, პროგრამული მხარდაჭერის, რესურსების ცვეთის, დიპლომების დამზადების და სხვა ხარჯები. ბიუჯეტის ხარჯის უმთავრესი წილი მოდის მასწავლებლების შრომის ანაზღაურებასა (59%) და მასალა-ნედლეულზე (16%) საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოწყობილია სასწავლო გარემო, რომელშიც ინტეგრირებულია A და B სივრცე. პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, აღნიშნული სივრცე წარმოადგენს ასევე C სასწავლო გარემოსაც. ასევე, ამავე სასწავლო სივრცეში განხორციელდება „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდული „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (2 კრედიტი, 45 საკონტაქტო საათი). სასწავლო სივრცე, მიმდინარე ეტაპისთვის გამტარუნარიანია. სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ტექნიკით: პერსონალური კომპიუტერები, პრინტერი, სმარტ დაფა, სასწავლო ინვენტარი, სხვადასხვა ინსტრუმენტები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის დანართით განსაზღვრული სხვა მატერიალური რესურსი. სასწავლო სივრცეში აღჭურვილია სამუშაოა ადგილი მასწავლებლისთვის. დაწესებულების სასწავლო სივრცეების, აღჭურვა უზრუნველყო სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების აქტები, რომლითაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო სტანდარტით მოთხოვნილი მატერიალური რესურსის ფლობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებშიც. თუმცა, ინდიკატორის შესრულება, შეტანილი იყო შესაბამისობის გეგმაში. განსაზღვრული ამოცანის თანაგანმახორციელებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტო. აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, განახლდა და გამდიდრდა სასწავლო რესურსი. სახელმძღვანელოებთან ერთად წარმოდგენილია მასწავლებლების მიერ, დარგობრივი მოდულებისთვის შემუშავებული „რიდერები“.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება (დაანგარიშებულია 15 პროფესიულ სტუდენტზე). პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შეფასებისას, ინდიკატორთან დაკავშირებით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, ხარჯების ნაწილში შეტანილი ყოფილიყო ისეთი მნიშნელოვანი მუხლები, როგორიცაა ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პროგრამის/განმახორციელებელი პირების/სასწავლო რესურსების განვითარება-გაუმჯობესებისთვის გასაწევი ხარჯები და სხვა. დაწესებულების მიერ ხარჯების ნაწილი კორექტირებულია, გათვალისწინებულია პროგრამის ადმინისტრირების, პროგრამული მხარდაჭერის, რესურსების ცვეთის, დიპლომების დამზადების და სხვა ხარჯები. ბიუჯეტის ხარჯის უმთავრესი წილი მოდის მასწავლებლების შრომის ანაზღაურებასა (60 %) და მასალა ადმინისტრირება (28,91 5), ნედლეულზე (7%).

საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია პროგრამის რენტაბელობის ზღვრი - 13 პროფესიული სტუდენტი. პროგრამით გათვალისწინებული დასაშვები ზღვრული რაოდენობა ერთ ნაკადზე 15 პროფესიული სტუდენტი. მიმდინარე ნაკადი შეადგენს 15 სტუდენტს. საპროგნოზო ბიუჯეტი შედგენილია 15 პროფესიულ სტუდენტზე. შემოსავლები უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. დაწესებულების საერთო ბიუჯეტის ანალიზით, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ადასტურებს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება“

პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კონტრაქტი გაფორმებულია 28 პირთან (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი ადამიანური რესურსის შესახებ და პერსონალის პირადი საქმეები), აქედან: 12 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირია, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 17. მოდულების უმრავლესობის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, რიგ შემთხვევაში - 3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 16.09.024 წ.). ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულება ახორციელებდა პროფესიული მოდულის „ყავის მომზადების ტექნოლოგია“ პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევას. ექსპერტთა მიერ განხორციელდა შესარჩევ კანდიდატთან გასაუბრება. გასაუბრებით დადასტურდა პირის მზაობა, მოტივაცია პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, ასევე მისი კვალიფიციურობა და სამუშაო გამოცდილება, მოდულის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო გეგმა (ბრძანება #2-07, 23.01.2025) და პროგრამის განხორციელების მეცადინეობის განრიგი. პერსონალის პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან აქვს საგნის სწავლების გამოცდილება. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან სამუშაო გამოცდილება. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულია ტრენინგები თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში, ასევე თემაზე „შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და სტუდენტის მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განვითარება“. ტრენინგების ეფექტურობა, აღნიშნეს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროს. მათ დასძინეს, რომ ტრენინგზე შეძენილ ცოდნას/უნარებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში, მუდმივი კავშირი აქვთ ტრენერებთან და მასწავლებელთა დარგობრივ ასოციაციების წევრებთან. ხელმძღვანელად შერჩეულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან შესაბამისი კომპეტენციის პირი (ბრძანება №2-07, 23.01.2025). ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პერსონალის პირადი საქმე, შედგა გასაუბრება, რითიც დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის დარგობრივი კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უმაღლესი განათლება, სპეციალობით „საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგია და ორგანიზაცია“, გავლილი აქვს პრაქტიკა სარესტორნო მომსახურების სფეროში (რესტორანი „გრანდ პალასი“).

დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური განათლების მასწავლებლები/სპეციალისტები და მათი ასისტენტები. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ფსიქოლოგის ჩართვას ან/და სხვა სპეციალისტების მოწვევას, სსსმ პირის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სსსმ/შშმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურება. ამასთან, მისაღები კვოტის ფარგლებში, დაწესებულებას სსსმ პირებისთვის გამოყოფილი აქვს ადგილების 15 %. საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია

პროგრამის რენტაბელობის ზღვრი, რომელიც შეადგენს 13 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო პროგრამით გათვალისწინებული დასაშვები ზღვრული რაოდენობა ერთ ნაკადზე - 15 პროფესიული სტუდენტია. მიმდინარე ნაკადი შედგება 4 პროფესიული სტუდენტისგან, შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილია კორექტირება ვაუჩერული დაფინანსების რაოდენობაში, თუმცა შეუსაბამობაა პროგრამის საერთო ბიუჯეტსა და რენტაბელობის ზღვართან დაკავშირებით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის საერთო მაჩვენებლები შესაბამისია 15 პროფესიული სტუდენტის დაფინანსებისა. აღნიშნულის კორექტირებას დაწესებულება განახორციელებს ფაქტობრივი ბიუჯეტის დაანგარიშებისას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“
პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, კონტრაქტი გაფორმებულია 17 პირთან (საგანმანათლებლო პროგრამის დანართი ადამიანური რესურსის შესახებ და პერსონალის პირადი საქმეები), აქედან: 2 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირია, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 15. მოდულების უმრავლესობის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 2 პირი, რიგ შემთხვევაში - 3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები (ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 16.09.024 წ.) მასწავლებლების დატვირთვა არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ 40 საათს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო გეგმა და პროგრამის განხორციელების მეცადინეობის განრიგი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია - ვიზიტის დროს შემოწმდა პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. პირადი საქმეები სრულყოფილია, წარმოდგენილია კომპეტენციის/კვალიფიკაციის დამდასტურებელი და კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტები. პირად საქმეზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ინტეგრირებული მოდულების ყველა მასწავლებელს დადასტურებული აქვს საგნობრივი კომპეტენცია ან აქვს საგნის სწავლების გამოცდილება. ხოლო პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება.

პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორციელებულია ტრენინგები თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში და ასევე თემაზე „შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და სტუდენტის მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განვითარება“. ტრენინგების ეფექტურობა, აღნიშნეს პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ექსპერტებთან გასაუბრების დროსაც. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება, როგორც მისი პირადი საქმით, ისე გასაუბრებით. პროგრამის ხელმძღვანელი არის CISCO საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი აქვს დარგში მუშაობისა და სწავლების 13 წლიანი გამოცდილება. პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციით, დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან. დაწესებულების მიერ განსაზღვრული სამუშაო აღწერილობით, პროგრამის ხელმძღვანელი გარდა მოდულების განხორციელებისა, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იქნება პროგრამის ადმინისტრირების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის, პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარების პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თხოვნით, დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, როდესაც სკოლა არჩევდა პროფესიებს, გამოკითხვების მიხედვით საკმაოდ ბევრი განცხადება იყო ორივე პროგრამაზე როგორც „სარესტორნო საქმის“ კუთხით ასევე, ქსელების მიმართულებითაც. შემდეგ კი არასწორი კომუნიკაციის შედეგად დარეგისტრირდა მხოლოდ 5 სტუდენტი, ხუთივე აღნიშნული სკოლის მოსწავლე იყო, ერთ-ერთმა მათგანმა შეიწყვიტა სტატუსი და დაუბრუნდა თავის კლასს. ამჟამად მომდენო სასწავლო წლისთვის სკოლას უკვე აქვს წინასწარი განცხადებები და საკმაოდ პოპულარულია პროფესიული პროგრამები წინა წელისგან განსხვავებით, რადგან ექსპერიმენტი ტარდებოდა და მშობლების მხრიდან არ იყო საკმარისი ნდობა. ახლა უკვე ნდობა 100 % არის მოპოვებული და ძალიან დიდია, როგორც მოსწავლეების მხრიდან სურვილი ასევე მშობლების მხრიდანაც. საკმაო განცხადებები არის შემოსული იმისთვის, რომ შემდეგი წლისთვის სრულყოფილად იყოს დატვირთული ორივე პროგრამა 15-15 სტუდენტით. პროგრამა დიდი ინტერესით სარგებლობს, სხვა სკოლის წარმომადგენლებიც ესტუმრნენ სკოლას და სურდათ ქსელებზე ჩარიცხვა, მაგრამ ადგილები შევსებულია და თუ ვინმემ ჩარიცხვა გადაიფიქრა, სკოლა შეძლებს სხვა მოსწავლეების მიღებასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' და ,,სარესტორნო მომსახურება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:212708042) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები'' და ,,სარესტორნო მომსახურება''განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთოთხმეტე საკითი: სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომა დატოვა ხათუნა ცერცვაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის MES 7 25 0000017467 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლაში. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23 იანვარს (მის: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. No192. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარსა და მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A/C გარემოში. A (C) სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე(ორ ცვლაში 30 სტუდენტი). სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 15 სამუშაო მაგიდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტი ტარდება შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში. ინტეგრირებული მოდულებისთვის განკუთვნილია შესაბამისად აღჭურვილ ლაბორატორიებში. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები. ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ყველა პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერში, ასევე ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში(სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამი კომპიუტერი), რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკა განთავსებულია ფართში, რომელსაც აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებით მიმდინარეობს დარგობრივი მოდულ(ებ)ის ფარგლებში არსებული საგანმანთლებლო რესურსების თარგმნა და ე. წ. „hand out“ - ების/ამონარიდების სახით განთავსება საბიბლიოთეკო სივრცეში. შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება სასწავლო პროცესის წარმართვისათვისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 13 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 2 პირი. 1 მასწავლებელი დარგობრივი ინგლისურისათვის. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, სკოლის დირექტორის ბრძანებით

დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიღებულ არიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროგრამის სპეციფიკიდან და სტანდარტთან შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის უზრუნველყოფის მიზნით, დამატებით განხორციელდა პროგრამის განმახორციელებელ პირთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა და მეთოდოლოგიური გადამზადება. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. მისი ფუნქციები და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს სსსმ პირების სწავლების გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია რესურსით უზრუნველყოს ადაპტირებული სწავლება. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საპროგნოზო ბიუჯეტი. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 12 პროფესიული სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა მხოლოდ ტრენინგის საფუძველზე მოხდა თუ აღნიშნულ პირს ჰქონდა გამოცდილებაც.

ექსპერტის განმარტებით, პროგრამის ხელმძღვანელს ჰქონდა სწავლების გამოცდილება, ვინაიდან სხვა დაწესებულებებშიც ასწავლის, თუმცა გადაფარვის საშიშროება არ არის და მთლიანობაში აღნიშნული პირის დატვირთვა კვირაში 40 საათსაც არ სცდება.

საბჭოს წევრი კითხვით მიმართავს ექსპერტს, საკმარისია თუ არა პროგრამის ორი დარგობრივი განმახორციელებელი 2.2.1.2. ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული საკითხი უფლების მოპოვების ვიზიტზეც იყო შესწავლილი და ინდიკატორი 2.2.1.2. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, რადგან დაწესებულებას ჰყავდა ერთი დარგობრივი განმახორციელებელი. ამჟამად კი სკოლას ჰყავს ორი დარგის განმახორციელებელი, რაც სრულიად საკმარისია დარგობრივი მოდულების რაოდენობისთვის. აღნიშნული გამოწვევა ხშირია კოლეჯებშიც. სასურველია დაწესებულებას ჰყავდეს ორზე მეტი დარგის წარმომადგენელი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში

ძალიან ჭირს მათი მოძებნა, აქედან გამომდინარე მოთხოვნა დიდია და რთულია მათი დაინტერესება კოლეჯის ანაზღაურებით.

სამინისტროს წარმომადგენელის, ქალბატონი თამარ კვინიკაძის განცხადებით, დარგობრივი ნაწილი მასწავლებლების კუთხით ძალიან ჭირს არა მხოლოდ სკოლებში, არამედ კოლეჯებშიც. დაწესებულებები მუდმივად ეძებენ სპეციალისტებს. აღნიშნული მიმართულებით პროფესიული უნარების სააგენტო აქტიურად იყო ჩართული მასწავლებლების მოძიებაში. მოხდა შესაბამისად მათი დატრენინგება, მაგრამ დღესაც გრძელდება აქტიურად მუშაობა მოცემულ საკითხზე, რომ სასწავლო პროცესი იყოს დაზღვეული. პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება მოიპოვა 20-მა საჯარო სკოლამ, მათი მხარდაჭერა დღესაც გრძელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, რომ დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, მათ თადარიგში ჰყავთ დარგის მესამე განმახორციელებელიც მეორე ცვლაში სწავლების დასაწყისისთვის, რომელიც გადამზადებულია ზოგად მოდულებში და თუ რამე ფორსმაჟორული მდგომარეობა შექმნა, ამისთვის სკოლა მზად იქნება, აღნიშნული განმახორციელებელი პარალელურად ასწავლის მესხიას უნივერსიტეტშიც . ინტერნეტს რაც შეეხება, იყო ხარვეზები, მაგრამ ემისის მხარდაჭერით არსებული პრობლემაც აღმოიფხვრა . ასე რომ სკოლაში მუშაობას ხელს არაფერი არ უშლის, როგორც მატერიალურად ასევე ადამიანური რესურსის კუთხით .

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ზუგდიდის №3 საჯარო სკოლაში(ს/კ:219985327) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთხუთმეტე საკითი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომას შემოუერთდა ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის MES 4 25 0000017482 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში.

ვიზიტი შედგა 2025 წლის 24 იანვარს (მისამართი: ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. №1). ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „Front-End დეველოპმენტი“ – შესაბამისობის შემოწმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან. შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის დირექტორს სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, მოდულის განმახორციელებელ პირებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად

შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით. გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად. დარგობრივი მოდულებისათვის მოწყობილია A/C გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. გარემო განთავსებულია მეორე სართულზე, აღჭურვილია 20 პერსონალური კომპიუტერით(სტუდენტებისათვის), 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 20 სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი) პროგრამაში შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები. სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული აქვს ფრენბურთი, კალათბურთი და მინიფეხბურთი, რომელიც ტარდება შესაბამისად მოწყობილ და აღჭურვილ სკოლის დარბაზში და ეზოში არსებულ სპორტულ მოედანზე. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „Front-End დეველოპმენტი“ მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები. ყველა რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით პროფესიული სტუდენტებისთვის. ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერებში, ასევე ბიბლიოთეკის კომპიუტერებში (სამკითხველო დარბაზში განთავსებულია სამი კომპიუტერი). სტუდენტებს შეუძლიათ რესურსების გადატანა ელექტრონულ მატარებლებზე ან დაბეჭდვა ბიბლიოთეკაში, მათი სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკა აღჭურვილია როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათებით. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში გაწერილია სკოლის პოლიტიკა სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. სსიპ - სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 სკოლაში სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების გადაადგილებას სართულებზე. ამჟამად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ პირი არ სწავლობს, თუმცა სკოლას აქვს სსსმ პირების სწავლების გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია უზრუნველყოს ადაპტირებული სწავლების პროცესის ორგანიზება. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front End დეველოპმენტი” საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “Front End დეველოპმენტი” საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front End დეველოპმენტი“

,,Front-end დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებულია - 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 20 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 2 დარგის სპეციალისტი. პროფესიული მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. ამჟამად უშუალოდ სწავლების პროცესში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. დაწესებულებაში ყველა პროფესიული განათლების მასწავლებელი აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც დასტურდება სკოლაში წარმოდგენილი დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ მასწავლებლებს გააჩნიათ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა კომპეტენცია და ცოდნა დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ასევე არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულების ერთ-ერთი განმახორციელებელი. მისი კომპეტენცია დასტურდება დიპლომით და შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით. საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით, პროფესიული პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილი იფარება არსებული შემოსავლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქოდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:219985746) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთექვსმეტე საკითხი: სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომას შემოუერთდა ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 24/06/2024 MES 1 24 0000739443 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლაში. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 იანვარს (მის: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N66 (I კორპუსი).ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „FRONT-END დეველოპმენტი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლის მე - 2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.

შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებასა და მოდულების განმახორციელებელ პირებთან და სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობების შესრულება, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის

და ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წერილებით გაცხადებული მხარდაჭერის აღსრულება, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასთან და პროფესიული და ინტეგრირებული მოდულების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სკოლის დირექტორის, სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის შედეგად შესწავლილი დოკუმენტების ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

"Front - End დეველოპმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეძენილი აქვს შესაბამისი მატერიალური აღჭურვილობა, რაც სავსებით საკმარისია კვოტით განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლების უზრუნველსაყოფად და განთავსებულია სკოლის A/C გარემოში. • A (C) სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორია) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე(ორ ცვლაში 30 სტუდენტზე). სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესიული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 15 სამუშაო მაგიდით. თეორიული კომპონენტის განხორციელებისათვის გარემოში არის ყველა საჭირო აღჭურვილობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, "Front - End დეველოპმენტი" შემავალი ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ სკოლას სპორტის კომპონენტის ფარგლებში არჩეული სპორტული მიმართულებისათვის აქვს შესაბამისად მოწყობილი სკოლის დარბაზში. ინტეგრირებული მოდულების, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ განხორციელებისათვის სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი ლაბორატორიები, რომელთა გამტარობა დარეგულირებულია შესაბამისი სასწავლო ცხრილებით.

დაწესებულებაში არსებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური/ელექტრონული სახით პროფესიული სტუდენტებისათვის. ელექტრონული სასწავლო რესურსი ჩაწერილია ყველა პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პერსონალურ კომპიუტერში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველოში არსებულ კომპიუტერში, რომლის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა ან ბიბლიოთეკაში დაბეჭდვა განხორციელდება მომხმარებლის სურვილის შესაბამისად. ბიბლიოთეკას აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათება. გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნების საცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერი, რომლის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ

პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით. სკოლას აქვს ადაპტირებული ლიფტი. სკოლას ჰყავს სპეც მასწავლებლები და შშმ პირთა ასისტენტები, მეტყველების თერაპევტები და ფსიქოლოგები. აღნიშნულ პროგრამაზე სსსმ პირი არ სწავლობს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში სკოლას აქვს რესურსი უზრუნველყოს ადაპტირებული სწავლება. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, "Front - End დეველოპმენტი" საპროგნოზო ბიუჯეტი. საპროგნოზო ბიუჯეტი შეიცავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 12 პროფესიული სტუდენტით, შემოსავალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას, სადაც შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯების ნაწილში გაწერილია - პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურება სასწავლო პროცესის წარმართვისათვისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „Front - End დეველოპმენტი“

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ ჰყავს პარტნიორი ორგანიზაცია. დ ,,Front-end დეველოპმენტის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 16 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 2 პირი. პირველი ვიზიტის დროს სკოლას გყავდა 14 მასწავლებელი. შემდეგ დაწესებულებამ დაიმატა 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის ხელშეკრულება გაფორმებულია დამატებით მეორე დარგის სპეციალისტთანაც. ამჟამად არსებული კვოტის ფარგლებში სკოლას ყავს მხოლოდ ერთი ჯგუფი 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. შესაბამისად, პროფესიული დარგობრივი მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. წარმოდგენილი მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ სცილდება კვირაში 40 საათს. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ სკოლაში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები შერჩეული არიან სკოლის მოქმედი მასწავლებლებიდან, რომელთა ცოდნა და კომპეტენცია დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს

დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ბათუმის №10 საჯარო სკოლაში(ს/კ:245429380) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეჩვიდმეტე საკითი: სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომას შემოუერთდა ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ირმა მეგრელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 16/01/2025 MES 0 25 0000019918 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ - ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლაში. ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 იანვარს (ქ. ქობულეთი, აღმაშენებლის ქ. N47). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, შედგა ჯგუფის წევრების შეხვედრა, სადაც განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის (პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, ადაპტირებული მოდულების (ინტეგრირებული, ზოგადი და დარგობრივი მოდულები), სასწავლო გეგმების (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის, ბიუჯეტი/ები) განხილვა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front - End დეველოპმენტი" ფარგლებში მატერიალური რესურსის დათვალიერება, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობისა და დატვირთვის განხილვა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეების, პროგრამის საგანმანათლებლო და ფინანსური რესურსის შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტის მოთხოვნებთან დაკავშირებული მტკიცებულებების შესწავლა და გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან, კერძოდ სკოლის დირექტორთან, პროფესიული განათლების კოორდინატორთან, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროფესიული განათლების შესყიდვების სპეციალისტთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ქობულეთის N1 საჯარო სკოლაში მშობლებისა და დაინტერესებული პირებისათვის ჩატარდა პროფესიის გაცნობის მიზნით პრეზენტაციები. სტუდენტებმა წარადგინეს მათი პროექტების პრეზენტაციების ვებგვერდების განვითარების პრაქტიკულ მაგალითებზე. აღნიშნულმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მშობლებისა და სასკოლო საზოგადოებისთვის სტუდენტების მიერ მოკლე ვადაში მიღებული ცოდნის გაზიარებას, მიმდინარე პროგრამისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს NASA Space Apps Challenge-ის რეგიონალურ კონკურსში და დაიკავეს საპატიო მეორე ადგილი. მათი პროექტი ეხებოდა ქრონიკულად მნიშვნელოვან მონაცემებსა და კოსმოსურ კვლევებს, რაც ტექნოლოგიური და შემოქმედებითი უნარების მაქსიმალ გამოყენებას საჭიროებდა.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლაში გამოყოფილია სასწავლო გარემო, რომელიც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვისაა. «Front-end დეველოპმენტი»-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია ერთი კომპიუტერული კლასი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ესენია: 21 ცალი პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი (Acer Veriton X2715G), დაფა 120*90, პრინტერი, სმარტ დაფა, სტანდარტული უწყვეტი კვების წყარო, USB ფლეშ მეხსიარება ინტერფეისი, რომელებიც სკოლას გადაეცა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ასევე გამოყოფილია, როგორც სასკოლო ასევე პროფესიული სტუდენტების სწავლების მიზნებისათვის ქიმიის ლაბორატორია. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულისთვის სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარდაა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-02/35 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკაში განთავსებულია შესაბამისი სახელმძღვანელოები და მასალები, როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულად. მეტიც, თითოეული სტუდენტის კომპიუტერში ჩატვირთულია სასწავლო მასალების ელექტრონული ვერსიები და ამ სახით იგი მარტივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში მათთვის გამოყოფილია პრინტერი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ ამობეჭდონ სასწავლო მასალები. სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 21-ე მუხლი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტები. ბიუჯეტი შემუშავებულია ვაუჩერული დაფინანსების შესაბამისად. ხარჯები გათვლილია და ის უკავშირდებოდეს მხოლოდ პროფესიული განათლების მიზნებს და არ სცდება საქართველოს მთავრობის N244 დადგენილებას (პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე) სადაც პირდაპირ არის განსაზღვრული თუ რაში შეიძლება დაიხარჯოს ვაუჩერული დაფინანსება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "Front - End დეველოპმენტი"
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 40 პროფესიული სტუდენტი, დაწესებულებამ პირველ მიღებაზე მიიღო 20 სტუდენტი, ხოლო მეორე მიღებაზეც გეგმავს 20 სტუდენტის მიღებას, ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესი განხორციელდება ორ ცვლაში. „Front-end დეველოპმენტი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გათვალისწინებულია - 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინტეგრირებული

ზოგადი მოდულების სწავლებისთვის ზსდ ჰყავს 8 განმახორციელებელი. ხოლო დარგობრივი მოდულებისათვის 2 პირი. პროფესიული მასწავლებლების ოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მასწავლებელთა კონკრეტული საათობრივი დატვირთვა თითოეული ჯგუფის ფარგლებში დამტკიცდა სწავლის დაწყების წინ და წარმოდგენილი დატვირთვით არ სცილდება კვირაში 40 საათს.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით, დაწესებულებაში პროფესიულ მასწავლებლებად მიიღებიან შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირები, რაც დასტურდება მათ მიერ კოლეჯში წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულება. რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, ისინი შერჩეული არიან სკოლის მოქმედი პედაგოგებიდან, მათი ცოდნა და კომპეტენცია მათ მიერ განსახორციელებელი მოდულების მიმართულებით, დასტურდება კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით, რაც შეეხება დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირს, მას წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უდასტურდება შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის №01-03/39 ბრძანების მიხედვით, პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც არის დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მონაწილეობს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში და სკოლის დირექციას აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის თაობაზე; ბ). პროფესიული განათლების მასწავლებელი - სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩართულია პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მომზადების /ადაპტირების პროცესში. მოცემული საპროგნოზო ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამა რენტაბელურია (ორივე მიდგომით) 15 პროფესიულ სტუდენტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა საბჭოს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "Front - End დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის №1 საჯარო სკოლაში (ს/კ:246957761) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "Front-end დეველოპმენტი" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეთვრამეტე საკითხი: სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომას შემოუერთდა ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.01.2025 წლის N22967 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის; ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 28 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ -სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში (მის.: ქალაქი ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის ქ. N121). აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A,B და C გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა მოიცავს ,,სპორტის“ ინტეგრირებულ მოდულს დაწესებულებას არჩეული აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მიმართულება. სკოლის სპორტული დარბაზი იმგვარადა მოწყობილი, რომ სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული მოდულის განხორციელებას. წინა წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ იყო მოწყობილი სივრცეები და არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. დაწესებულებაში მოწყობილია პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული A, B და C გარემოები. A გარემოში განთავსებულია მერხები და სკამები, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, სამუშაო სტუდენტებისთვის. B გარემოში, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დარგობრივ გარემოს, განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 21 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი. დაწესებულებაში მოწყობილია ლაბორატორიები ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დეტალურად გადაამოწმა პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსების ფლობის

დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება. წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.5. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან დაწესებულების ბიბლიოთეკა არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მდინარე წარმოების ფარგლებში, გადამოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების არსებობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დაწესებულებას ყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის მიხედვითაც სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დაწესებულება ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 7. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები"

წინა წარმოების ფარგლებში აღნიშნული ინდიკატორი 2.2.1.2 ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირად განსაზღვრული იყო მხოლოდ ერთი პროფესიული მასწავლებელი და პროგრამის განხორციელების მდგრადობა დგებოდა ეჭქვეშ. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, მათი რაოდენობისა და დატვირთვის პროპორციულობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების და 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.3 ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი" სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან დარგობრივი

მოდულების განმახორციელებელ პირს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპეტენცია უდასტურდებოდა მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად განსაზღვრულია 2 პირი. როგორც გასაუბრებით, ასევე პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციის მიხედვით მათ უდასტურდებათ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგები სწავლა - სწავლებასა და შეფასებაში.

წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.4. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, პროგრამის ხელმძღვანელს წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, კომპეტენცია უდასტურდებოდა მხოლოდ კომპიუტერული სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სხვა პირთან, (გ.ხ.) რომელსაც აქვს როგორც განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სამუშაო გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით. მასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება რომ პროგრამისთვის განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა საბჭოს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქალაქ ბოლნისის N1 საჯარო სკოლაში (ს/კ:225361202) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეცხრამეტე საკითხი: სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემების" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

სხდომას შემოუერთდა ხათუნა ცერცვაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 17.01.2025 წლის N22965 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N3 საჯარო სკოლაში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ დებულების ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის; ბ.ბ კომპონენტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 29 იანვარს განხორციელდა ვიზიტი სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის N3 საჯარო სკოლაში მცხეთის მუნიციპალიტეტი, წეროვანის ახალი დასახლება, რიგი 12). აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. ექსპერტები

შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

დაწესებულებას გამოყოფილი აქვს A,B და C გარემოები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. წინა წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი 2.2.1.1. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ იყო მოწყობილი სივრცეები და არ იყო აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულება. დაწესებულებაში მოწყობილია პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული A, B და C გარემოები. A გარემოში განთავსებულია მერხები და სკამები, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება, დაფა, სამუშაო სტუდენტებისთვის. B გარემოში, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის დარგობრივ გარემოს, განთავსებულია სამუშაო ადგილი და კომპიუტერის კომპლექტი 12 პროფესიული სტუდენტისთვის, ასევე 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, 1 პრინტერი/კომბაინი, 1 პროექტორი. დაწესებულებაში მოწყობილია ლაბორატორიები ზოგადი ინტეგრირებული მოდულებისთვის. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დეტალურად გადაამოწმა პროგრამის განხორციელებისთვის არსებული მატერიალური რესურსების ფლობის დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად დაწესებულებას არ ჰყავს თანაგანმახორციელებელი დაწესებულება.

წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.5. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან დაწესებულების ბიბლიოთეკა არ იყო სრულყოფილად აღჭურვილი პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში, გადამოწმდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების არსებობა. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო, ზოგადი და არჩევით მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. დაწესებულებას ყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება, რომლის მიხედვითაც სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ

ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დაწესებულება ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა შეადგენს 7. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“

წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.2 ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან პროგრამის დარგობრივი მოდულების განმახორციელებელ პირად განსაზღვრული იყო მხოლოდ ერთი პროფესიული მასწავლებელი და პროგრამის განხორციელების მდგრადობა დგებოდა ეჭქვეშ. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, მათი რაოდენობისა და დატვირთვის პროპორციულობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 10 ზოგადი და ზოგადი ინტეგრირებული მოდულების და 2 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირი. პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა კიდევ ერთ დარგობრივი მოდულების მასწავლებელთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები, დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. წინა წარმოების ფარგლებში ინდიკატორი 2.2.1.3 ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა, რომლის მიხედვითაც დამატებით უნდა მოეძიებინა შესაბამისი კომპეტენციის განმახორციელებელი პირები. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. დარგობრივი მოდულების განმახორციელებლად განსაზღვრულია 2 პირი. როგორც გასაუბრებით, ასევე პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციის მიხედვით მათ უდასტურდებათ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელ პირებს გავლილი აქვთ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარებული ტრენინგები სწავლა - სწავლებასა და შეფასებაში. წინა წარმოების ფარგლებში 2.2.1.4. ინდიკატორი ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასებული იყო, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, ვინაიდან განახლდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები, პროგრამის ხელმძღვანელი საჭიროებდა გადამზადებას დარგობრივი მიმართულებით. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტანდარტთან შესაბამისობის 6 თვიანი გეგმა. მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის პირად საქმეში არსებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროგრამის

ხელმძღვანელს გავლილი აქვს დამატებითი ტრენინგები დარგის მიმართულებით. მასთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება რომ პროგრამისთვის განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, დაწესებულებას პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო გარემოს რეაბილიტაციის დროს შეექმნა ელექტრო გაყვანილობასთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა. განათება ძალიან მალე იწვებოდა, შესაბამისად შემდეგ დაწესებულების წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიაწოდეს ინფრასტრუქტურასა და რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელ პირებს , ისინი შეპირდნენ რომ პრობლემას მოაგვარებდნენ თუმცა ეს პრობლემა ისევ აქტუალურია. დაწესებულებამ მიმართა ესიდას, რომელმაც პასუხისმგებლობა დააკისრა მშენებლებს. მშენებლობა მთლიანად დააფინანსა სამინისტრომ, თუმცა რეკომენდაცია მისცა სკოლას კომპანიისთვის თანხის გადარიცხვისგან თავის შეკავების თაობაზე, რადგან საგარანტიო პერიოდი არ გასულა. სასწავლო დღეები გადატვირთულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 10
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლაში (ს/კ:236098138) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეოცე საკითხი: სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს თავჯდომარე, ელენე კაკაბაძეს,სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლასთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, იყო მონიტორინგის ვიზიტის ჯგუფის თავმჯდომარე, რის თაობაზეც ელენე კაკაბაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0
სხდომის თავმჯდომარედ ამ საკითხის განხილვისას განისაზღვრა თავმჯდომარის მოადგილე ხათუნა ჩხარტიშვილი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ელენე კაკაბაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 22 ნოემბრის MES 1 24 0001511976 ბრძანების საფუძველზე - სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ, შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, ჯგუფის წევრი - თორნიკე თუთარაშვილი) მიერ 2024 წლის 10 დეკემბერს განახორციელდა მონიტორინგის ვიზიტი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლაში (ქ. ლაგოდეხი რუსთაველის № 1). ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაგვევალა საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა სკოლას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა შეხვედრები სკოლის დირექტორთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთა და პროფესიულ სტუდენტებთან. დათვალიერდა მატერიალური რესურსები. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
სკოლას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამის განსახორციელებლად მოწყობილი აქვს A/B და C გარემო. A/B გარემოში განთავსებულია პერსონალური კომპიუტერის 12 კომპლექტი, 1 პრინტერი HPLazerjet Pro MFPm4103dw, 3 კომუნტატორი, 3 მარშუტიზატორი, 1 პროფესიული მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, 5 ორადგილიანი პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა, 1 სმარტ დაფა. C გარემო არის ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულისათვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“, სადაც განთავსებულია შესაბამისი აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულისათვის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს.

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემო. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულების 29-ე მუხლი არეგულირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს. ეს ღონისძიებებია: სპეციალისტის მოწვევა; საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა; ზსდ-ის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა; ადმინისტრაციული მხარდაჭერა. სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებული აქვს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების სახეობად განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსება. საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს რენტაბელობის ზღვარს და წარმოდგენილია 7 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. ამ რაოდენობის შემთხვევაში შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 20 პროფესიული სტუდენტი. აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა არის 10 პროფესიული სტუდენტი. ინდიკატორი 2.2.1.1. იყო მეტწილ შესაბამისობაში და სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს წერილი, სადაც გაწერილი იყო ვადები თუ რა პერიოდში მოხდებოდა კომპიუტერების და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა. გეგმის შესაბამისად განხორციელდა კომპიუტერების და დარგობრივი სწავლებისათვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული აღჭურვილობის შეძენა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახორციელებს 15 პროფესიული მასწავლებელი. აქედან, 4 დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელია, 11 ინტეგრირებული მოდულების. წინა ვიზიტზე იყო 12 პროფესიული მასწავლებელი და დაემატა 3 (2 დარგობრივი პროფესიული მოდულის და 1

ზოგადი მოდულის). მასწავლებლებთან გასაუბრების და პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენტურობა და კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმითა და მასთან გასაუბრების საფუძველზე. პროგრამის ხელმძღვანელი იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავის მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა საბჭოს გაწეული საქმიანობისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - "კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ქალაქ ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლაში(ს/კ:233137717) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

ოცდამეერთე საკითხი: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ''ელექტროობის'' მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრებს: დავით ჯინჭარაძესა და გოჩა გოგიტიძეს, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან აქვთ აცილება, ვინაიდან წარმოადგენენ დაინტერესებულ პირებს, რის თაობაზეც დავით ჯინჭარაძემ და გოჩა გოგიტიძემ განაცხადეს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის აცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

სხდომა დატოვა ხათუნა ცერცვაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 27 ნოემბრის N1529092 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები: დავით გუდაძე -„ელექტროობის“ დარგის ექსპერტი და დავით კუპატაძე - "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ დარგის ექსპერტი) დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ''ელექტროობის'' ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით 2024 წლის 11 დეკემბერს, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (მის: ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქუჩა N24). ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა ასევე შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან და შემოწმდა პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსი.

მონიტორინგის წარმოების ფარგლებში დადგინდა, რომ აკადემიამ ავტორიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

„ელექტრობა“ მატერიალური რესურსი, შესაბამისობაში მოიყვანა „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის მოთხოვნებთან.

შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; - აკადემიამ უზრუნველყო საგანმანათლებლო სივრცის C-გარემოს სრული აღჭურვა (C გარემო აღიჭურვა 220/380 V კარადით).
გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით, აკადემიამ შესაბამისობაში მოიყვანა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ ფარგლებში „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31- ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტი.
შესაბამისობაში მოვიდა ინდიკატორი 2.2.1.1 - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - აკადემიამ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის უზრუნველყო საჭირო აღჭურვილობის შეძენა, რომლის ძირითადი ნაწილი ადგილზეა წარმოდგენილი, ხოლო მცირე ნაწილი (11 დასახელება), მიმწოდებელი ფირმის შპს „სპექტრის“ წერილის თანახმად (მასთან გაფორმებულიმ ხელშეკრულების გათვალისწინებით), 2024 წლის 25 დეკემბრამდე მიეწოდება აკადემიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, იმ მოდულების განხორციელება, რომელთა შედეგების მისაღწევად აღნიშნული რესურსი აუცილებლობას წარმოადგენს, 36-ე კვირიდან დაიწყება და შესაბამისად, ის ხელს ვერ შეუშლის მიმდინარე ეტაპზე პროგრამის განხორციელებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტები, რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები, სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური რესურსით, როგორც აკადემიაში ასევე პრაქტიკის ობიექტებზე.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები
საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“-ს განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს A/C და B გარემო მისამართზე - ქ. ფოთი წმ. გიორგის ქ. N24, რომლებიც სრულად არის აღჭურვილი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40) გათვალისწინებით. A/C- სასწავლო გარემო გათვალისწინებულია 20 პროფესიულ სტუდენტზე და შესაბამისად მასში განთავსებულია 21 მაგიდა და სკამი, მათ შორის 1 მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ჭკვიანი დაფა, კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. სასწავლო გარემოში გამოყოფილია სტენდი და სამუშაო ადგილი პრაქტიკული დავალებისთვის, კარადებში განთავსებულია ხელსაწყო მასალა ნედლეული, კერძოდ: ვოლტმერი, ამპერმეტრი ციფრული, ცვლადი დენის კონდესატორი, ერთ სხივიანი ოსცილოგრაფი, ლაბორატორიული რეოსტატი, სიხშირმზომი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია უსაფრთხოების წესები, ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწონა შესაბამისობი რეკომენდაცია, რომელიც წარმოადგენდა მონიტორინგის

საფუძველს და შეიძინა 220/380 V კარადა, რაც მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს პრაქტიკული მეცადინეობის ეფექტურად განხორციელებისათვის. B სასწავლო გარემო გათვლილია 20 სტუდენტზე. მასში განთავსებულია შესაბამისი რაოდენობის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, ასევე პროექტორი, კომბაინი და ჭკვიანი დაფა. გარემოში გამოყოფილია ასევე სამუშაო ადგილი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის (1 მაგიდა, სკამი და 1 კომპიუტერი). ექსპერტთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგად და სავალდებულო მოდულებში მითითებული ლიტერატურის შერჩევით გადამოწმების შედეგად, დადგინდა, რომ ყველა სასწავლო რესურსი, ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე, განთავსებულია ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესის მიზნებისათვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“, ბიუჯეტით დგინდება, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ხარჯებში გათვალისწინებულია: პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, ადმინისტრირების და მასალა ნედლეულის ხარჯი. ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის (60 - ორ ცვლაში) ადეკვატურია. მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს: 1 - AC გარემო, რომელშიც განთავსებულია 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისათვის და 1 პროფესიული მასწავლებლისთვის. აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური რესურსით და დემონსტრირების ციფრული საშუალებებით: ჭკვიანი დაფა, კომპიუტერი, კომბაინი, პროექტორი. კარადებში განთავსებულია პირველადი დახმარების ყველა საჭირო ინვენტარი, მათ შორის მულაჟები, თვალსაჩინოებები. 2 - C გარემო. ერთ მათგანში განთავსებულია საზღვაო, სამაშველო, სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი - ცეცხლმაქრები, სახანძრო სპეც ტანსაცმელი და სხვ. მეორე სივრცეში განთავსებულია სამედიცინო ინვენტარი. 1 - A გარემო, რომელშიც განთავსებულია 32 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის, 1 მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის. აუდიტორია აღჭურვილია დემონსტრირების ციფრული საშუალებებით: ჭკვიანი დაფა, კომპიუტერი, კომბაინი, პროექტორი. 2-B გარემო. ერთ მათგანში განთავსებულია 20, მეორეში 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერები, ჭკვიანი დაფა, კომბაინი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან. ორივეში განთავსებულია მაგიდა და სკამი პროფესიული მასწავლებლისთვის. როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის 15 ივლისს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ დამატების მიზნით, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში განხორციელებული ავტორიზაციის წარმოების პროცესში მე-2 სტანდარტის 2.2.1 ინდიკატორი ნაწილობრივ შეუსაბამოდ ჩაითვალა. რამდენადაც აკადემიას არ ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი. აღნიშნულის შესასრულებლად შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განისაზღვრა განსახორციელებელი აქტივობები და ჩასატარებელი ღონისძიებები, რომელთა შესრულების ვადად დადგინდა 2024 წლის ოქტომბერი. ამ მიზნით საზღვაო აკადემიამ შპს „სპექტრთან“ გააფორმა ხელშეკრულება 2024

წლის 17 სექტემბერს, რომლის თანახმად საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 2024 წლის 02 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნულ ვადებში მომწოდებელმა ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ნაწილობრივ.

საკითხის დასარეგულირებლად საზღვაო აკადემიის მიერ გატარდა რიგი ქმედებები, კერძოდ: 2024 წლის 15 ნოემბერს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიამ შპს „სპექტრს“ წერილობით აცნობა ხელშეკრუკლების პირობების დარღვევის შესახებ და მომწოდებელს დაუწესა საჯარიმო სანქციები. შპს „სპექტრმა“ თავის მხრივ წერილობით აცნობა აკადემიას შეფერხების მიზეზები და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისთვის ვადის გახანგრძლივება 2024 წლის 25 დეკემბრამდე. ექსპერტთა მიერ, მონიტორინგის ფარგლებში, მიღება-ჩაბარების აქტების გაცნობის და ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიაში არსებობს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობის ძირითადი ნაწილი, ხოლო აღჭურვილობის ნაწილზე (პორტაბელური ერთჯერადი გაზის დეტექტორი (CO) - გაზის დიაპაზონი; სახანძრო საბანი; ციფრული განათების საზომი; შესუნთქვადი მტვრის სინჯის ამღები მოწყობილობა; ორთოსტატიკული სინდრომისგან დამცავი სარტყელი; მამრობითი და მდედრობითი სქესის მანეკენი პერსონალური დაცვის მოწყობილობების ვიზუალიზაციისთვის; პორტატიული მიკრო მანომეტრი ნაკადის გაზომვით; სამფეხა სადგამი სამაშველო ჯალამბარით -მინ. 7 ფუტი; სამაშველო შემოსაკრავი სისტემა; მექანიზირებული რესპირატორი) დირექციამ წარმოადგინა მიმწოდებელი ფირმის შპს „სპექტრის“ წერილი, რომლის თანახმად ჩამოთვლილი აღჭურვილობის ნაწილი გზაშია, ხოლო ნაწილი საბაჟოზე და მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს ხელშეკრულების ვადისა (25.12.2024). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით, იმ მოდულების განხორციელება, რომელთა შედეგების მისაღწევად აღნიშნული რესურსი (აღჭურვილობა) აუცილებლობას წარმოადგენს, 36-ე კვირიდან დაიწყება, ის ხელს ვერ შეუშლის მიმდინარე ეტაპზე პროგრამის განხორციელებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე, რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები, სრულად არის წარმოდგენილი ყველა საჭირო აღჭურვილობა. ეს ორგანიზაციებია: შპს “კავკასიან მეტალს ტერმინალი” – 10 პროფესიული სტუდენტი; ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია - 10 პროფესიული სტუდენტი; შპს “ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი” - 5 პროფესიული სტუდენტი; სსიპ-საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიის სამსახური” – 15 პროფესიული სტუდენტი; შპს “ სოფმარი – 10 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მეცადინეობისთვის განკუთვნილ სასწავლო სივრცეში და პრაქტიკის ობიექტებზე, სრულად არის წარმოდგენილი შესაბამისი მატერიალური რესურსი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“, მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის ელექტრონულ ბაზაში, რომელიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში ჩაწერილი მკითხველისათვის, მისთვის მინიჭებული ელექტრონული კოდის გამოყენებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი და სავალდებულო მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ბეჭდური სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე. დაწესებულების საბიბლიოთეკო სერვისები იძლევა შესაძლებლობას მკითხველმა ადგილზე წაიკითხოს სახელმძღვანელო, გააკეთოს ცალკეული გვერდების ასლები ან ამობეჭდოს მისთვის სასურველი მასალა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტის

ვაუჩერული დაფინანსება. ბიუჯეტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია ვაუჩერული დაფინანსებით, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ხარჯებში გათვალისისწინებულია: პროფესიული მასწავლებლის შრომითი ანაზღაურება, ადმინისტრირების და მასალა ნედლეულის ხარჯი. ბიუჯეტის მიხედვით პროგრამა მდგრადია, რადგან სავარაუდო ხარჯების ნაწილს ფარავს შემოსავლების ნაწილი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ელექტროობა“

პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, „გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის ფარგლებში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი 2 კომპანიასთან: • ს/ს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. 15 პროფესიულ სტუდენტზე. მემორანდუმი გაფორმებულია 15/02/2023-ში და მოქმედებს 3 წლის ვადით. კომპანია გამოხატავს კეთილ ნებას სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობაზე პროფესიულ დარგის განვითარების პროცესში. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასთან“ 10 პროფესიულ სტუდენტზე. მემორანდუმი გაფორმებულია 25/02/2024-ში და მოქმედებს 5 წლის ვადით. მერია გამოხატავს კეთილ ნებას სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობაზე პროფესიულ დარგის განვითარების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობის“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის და კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე გადამოწმდა მათი ჩართულობა დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. დადგინდა, რომ ელექტროობის სასწავლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა 13, მათ შორის, 5 პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. პროფესიული მასწავლებლების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, ხოლო მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი განათლების დამადასტურებელი დიპლომებით, მათ შორის სამასწავლებლო კურსის ტრენინგის გავლის სერთიფიკატებით და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს, აკადემიის რექტორის 14/06/2024 წლის N01-145 ბრძანებით დამტკიცებული, პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება აკადემიის მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისთვის წაყენებულ მოთხოვნებს. მისი კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სერთიფიკატებით. მას აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და პროგრამის განხორციელების გამოცდილება. აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, სასწავლო რესურსებთან წვდომას. აკადემიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს ასევე მზაობა - საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ სასწავლო რესურსების ადაპტირება - დამხმარე ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, ბრაილის შრიფტის, დასურათებული სახელმძღვანელოების, მასალის შინაარსობრივი ან ვიზუალური ადაპტაციის გამოყენებით თუ სხვა სპეციფიკური მოთხოვნით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელების მიზნით, აკადემიას ჰყავს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 5 ზოგადი მოდულების და 9 დარგობრივი მოდულების განმახორციელებელია. დარგობრივი 20 მოდულიდან 11 მოდულს ახორციელებს თითო-თითო პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც დადებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა (არ აღემატება კვირეულ 40 საათს) სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას და მდგრადობა. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა მასწავლებელთა დატვირთვის სქემები და დადგინდა, რომ საათობრივი დატვირთვის განაწილებისას გათვალისწინებულია მასწავლებელთა რეალური შესაძლებლობები/კომპეტენციები. აგრეთვე, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილების დროს მხედველობაშია მიღებული ის, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო არ შემოიფარგლება მხოლოდ საკონტაქტო საათების ჩატარებით, ის ასრულებს სხვა მნიშვნელოვან აქტივობებსაც, როგორიცაა მომზადება მეცადინეობისათვის, საორგანიზაციო საკითხები, სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში და სხვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მათი პირადი საქმეები, კვალიფიკაცია, დატვირთვები და ასევე მათი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში. აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმებისა და მათთან გასაუბრების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიულ მასწავლებელთა განათლება და სამუშაო გამოცდილება, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენციას. აღნიშნული კომპეტენციები მათ უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაციით და/ან მრავალწლიანი პროფესიული/ პედაგოგიური გამოცდილებით და/ან გავლილი ტრენინგებით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი აყვანილია აკადემიაში შემუშავებული პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაოს აღწერილობისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. მისი პირადი საქმის შესწავლისა და მასთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, კარგად იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და როლს პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების და ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში. აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე არ ფიქსირდება არცერთი სსსმ პირი, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, რაც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ, პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, სასწავლო რესურსებთან წვდომას.

საბჭოს წევრი მიმართავს კითხვით ექსპერტს, ექსპერტის განცხადების თანახმად, A, B და C გარემო გათვლილია 20 სტუდენტზე, როგორ ყოფნის აღნიშნული სივრცეები დასახელებული კვოტის მიხედვით 27 სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულების კვოტა არის 40 და ჰყავთ 27 სტუდენტი, რომლებიც ორ ცვლაში არიან გადანაწილებულნი ორ ჯგუფად.

პროფესიული სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნანი დალაქიშვილი, ამატებს, ზღვრული რაოდენობა რაც განესაზღვრა დაწესებულებას არის 40. მას თავისუფლად შეეძლო მიეღო 27 სტუდენტი, შესაბამისად არანაირი შეზღუდვა არ არის მოცემულ შემთხვევაში და გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება.

საბჭოს წევრი მიმართავს კითხვით ექსპერტს, ექსპერტის განცხადების თანახმად, დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები, ერთ ობიექტთან 3, ხოლო მეორესთან - 5 წლის ვადებით, რატომ არ ემთხვევა ავტორიზაციის ვადას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების ვადები და რამდენად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტს აღნიშნული გარემოება.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ელექტროობის მესამე დონის პროგრამა ზოგადად საწარმოო პრაქტიკას და პრაქტიკის კომპონენტს საერთოდ არ ითვალისწინებს. თუმცა დაწესებულების კეთილი ნება იყო სტუდენტები გაცნობოდნენ სამუშაო გარემოს სწავლის პერიოდში, სწორედ ამიტომ გააფორმეს აღნიშნული მემორანდუმები.

საბჭოს წევრი მიმართავს კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მიიღო თუ არა დაწესებულებამ შესაბამისი აღჭურვილობა და რესურსი, რაც პროგრამის განხორციელებისთვის არის საჭირო.

დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, ამჟამად პროგრამა „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ რესურსის 100% ადგილზეა დაწესებულების ფილიალში, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტებით.

ექსპერტი ამატებს, ამომწურავად იყო ყველაფერი, როგორც ფოტო მასალიდან ჩანდა იმაზე მეტი მატერიალური რესურსი აქვთ შეძენილი ვიდრე საჭიროა. დაწესებულებამ დაადასტურა მათი შეძენა, ხელშეკრულება მეორედ შეიცვალა არსებული პრობლემის გამო, მაგრამ როგორც ჩანს აღნიშნული პრობლემა უკვე მოგვარებულია და, რაც მთავარია რესურსის 100% განთავსებულია დაწესებულებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ''ელექტროობა“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 7
წინააღმდეგი : 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (ს/კ:245427337) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ და ''ელექტროობა“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2025 წლის 7 მარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 18:40

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

ელექტრონული დოკუმენტის ეროვნული არქივი